F

მოგზაური

საყოველ-კვირაო გაზეთი

F 3
1905

V წ. № 1 1905 წ. V წ.

შინაარსი: თემი და ერი, ივანე როსტომაშვილისა.—ერი და კაცობრიობა, მისივე.—ისტორია მუშათა კითხვისა, მისივე.—საახალწლო ფეშქაშები, მეკვლესი.—ადამიანს (ლექსი), იზიძესი.—მეხსიერება, ნ. ახმეტელაშვილისა.—სიმღერა (ლექსი) იზიძესი.—„დედა-ენა“ ი. გოგებაშვილისა, როგორც წარმართობის დამნერგველი ჩვენს მოზარდ თაობაში და ხალხში, დ-ისა.—გ. წერეთლის ხსოვნას (ლექსი), იალონისა.—წერილი სოფლელ მუშას:—„ბრძოლა არსებობისათვის“, ტ. ართმელაძისა.—პირველი საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“, ბერი-კაცისა.—„მოგზაურს“ (საახალწლო), ნ. ფარეშიშვილისა.—ახალი განცხადება.

F 389

თემი და ერი.

მოგილოცავ, მკითხველო, ახალწელს, ახალ ცხოვრებას, ახალ იმედებს, ახალ საქმეებს, ახალ გაზეთს „მოგზაურს“. კარგათ ვიცი, რომ დღეს შენი ყოველი იმედი სულ ამ ახალ ცხოვრებისაკენ არის მიპყრობილი და, აი, „მოგზაურიც“, შეძლებისა-კვალად, ეცდება თვალ-საჩინოდ გაგაცნოს ამ ახალ ცხოვრებას და მისკენ მიმავალ მახლობელ გზებსა...

ადამიანი გონიერი არსებაა, მარტოკასაც ბევრი რისამის დაძლევა და ატანა შეუძლიან, მაგრამ ბუნების სრულ მპყრობელად და ამ ქვეყნად ნეტარება-სიმართლის დასადგენად მას მხოლოდ და მხოლოდ მეორესთან, მესაძესთან და მეათესთან, ერთი სიტყვით, სხვასთან შეერთებით, სხვასთან მხარი-მხარის მიცემით, ამ წუთი ცხოვრების მძიმე ჰაპანწყვეტის საერთო გაწევით შეუძლიან. ეს არის საფუძველი საზოგადო ცხოვრების განკარგება-წინმსვლელობისა და ესევეა ის ნიადაგი, რომელზედაც უნდა აღზდგეს და განმტკიცდეს თვით ყოველი ჩვენგანი, ყოველი კერძო პირი, კერძო ადამიანი, რადგანაც, სხვა ვისგნით თუ არა ყოველის ჩვენგანით, ყოველის კერძო ადამიანით უნდა გაძლიერდეს და განკარგდეს თვით საზოგადოება, ერი, კაცობრიობა... აი რატომ არის ძველათვე ნათქვამი: ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის.

იყო დრო, როცა შესანიშნავათ მძლავრი და ფხიანი იყო ჩვენში ყოველი ცალკე თემი, ცალკე ხევი, ყოველი ცალკე კუთხე ჩვენის ტურფა ქვეყნისა; მძლავრი იყო და ბატონიც თავის თავისა, თავის ყადრისა. არ იყო ძხოლოდ ურთი-ერთობა და შეთანხმება ამ კერძოთა შორის, არ იყო ძმობა და სიყვარული მათ შორის, არ არსებობდა ძალა მათ კერძო მისწრაფებათა შემკავებელი მეზობელ თემის უფლებათა გათელვის დროს. არ იყო და აკი თვითვე ამოიჭამეს თავი..

ჩვენს ისტორიკოსებს რომ ჰკითხოთ, ჩვენის ქვეყნის სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაყოფა მიუტევებელი ცოდვა და განუკურნებელი ჭირი იყო საქართველოსთვის, მთავარი მიზეზი მის პოლიტიკურ სიკვდილია. მაგრამ ეს ასე არ არი: ჭირი და ვარამი იყო არა თვით დაყოფა ერთიანის სამეფოსი, რადგანაც, რამდენადაც მეტ თავისუფალ კერძოდ არის დაყოფილი რომელიმე ქვეყანა, მით უფრო კარგია ეს წინ-სვლისათვის (გაიხსენეთ შვეიცარიისა კანტონებად და ჩ. ამერიკის რესპუბლიკის შტატებად დაყოფა), არამედ ის სამწუხარო ამბავი, რომ იმ დროს, როცა ჩვენი მეფეები და მთავრები შინ სულ-გრძელად ითმენდნენ თვისთა ქვეშევრდომთა თავისუფლად ცხოვრება-მოქმედებასა, იმავ დროს, მათ ჭირივით ეჯავრებოდათ მეზობელ ძმა-მეფეთა თუ მთავართა თავისუფლად მეფობა-გამგებლობა და ყოველის საშუალებით ცდილობდნენ მათს დაღუპვასა და დასუსტებას, იმის მაგივრათ, რომ საყრთო რჩევითა და შეთანხმებით განეგოთ, როგორც საკუთარი სამფლობელონი, ისე მთელი თავიანთი სამშობლო ქვეყანაც. ჩვენის ქვეყნის სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაყოფა ნამდვილი ევოლიუციური შედეგი იყო ჩვენის ისტორიულის ცხოვრებისა და ამიტომ ჩვენის ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენლებს ამ კერძოთა ამოფხვრაზედ კი არ უნდა ეწყვიტათ თავი და ჯანი, არამედ და მხოლოდ მათს განმტკიცებასა ზედა, რადგანაც, როგორც ვსთქვით, მხოლოდ და მხოლოდ კერძოს ძლიერებაზეა დამოკიდებული თვით მთელის ძლიერებაც. დიახ, ჩვენმა ხალხმა თავის დროზედ კარგათ შეიგნო, რომ ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილობრივ თავისუფლად ცხოვრება გაცილებით უფრო უმჯობესი და სარფაა, ვიდრე მთელ მრავალ-ფეროვან ქვეყანასთან ყველაფერში მონურად და განურჩევლად ერთად უღლის წევა და აი გაიწია განზედ, რათა მოეწყო ცხოვრება ისე, როგორც ამას საკუთარი მისი ჰკვა-გონება და ადგილობრივი ვითარება მოითხოვდა. საჭირო იყო ყველას შეეგნო ეს და ხალხმა აკი შეიგნო კიდეც, მაგრამ ვერ შეიგნეს ეს თვით მმართველებმა და თავიანთი უნიადაგო ქიშპობითა და ერთმანეთის ჟლეტითა ამოჰპეს თავნი თვისნი... ერთი სიტყვით, საქართველოს პოლიტიკურად სავსებით მომწიფებასა და დამთავრებასა მცირე-ღა აკლდა, რომ ჩვენდა სავალალოდ, სწორედ ამ დროს მას შეესწრო მონგოლთა ბნელი მპყრობელობა და საქართველოსაც უდროოდ დაეშრიტა ძალა და ნიჭი-გონიერება...

დიდებული გვამია დიდი მოურავი, გიორგი სააკაძე, დიდი უმაგალითო გვამია იგი ჩვენს ისტორიაში, მაგრამ ჰკვა ხელობს და გული გიკვდება, როცა იგი თავის და ქართველთა ხალხის ძალ-ღონესა, სპარსთაგან განთავისუფლების შემდეგ, სულ ამაოდ ჰხარჯავს იმის მოსპობაზედა, რის შექმნასა და მოპოვებაზედა ცხალხს ჰენიას უკვე მრავალი ჰქონდა ნამსხვერპლი. სპარსთაგან განთავისუფლების შემდეგ, დიდი მოურავი, რომ საუკუნოებით დაკანონებულ სამეფო-სამთავროებისა და მათს მეფე-მთავრების ერთხელ და სამუდამოდ მორიგებასა და მათს შორის მკვიდრის კავშირის დამყარება-განმტკიცებას ცდილიყო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ საქართველო დღესაც ცოცხალი იქნებოდა... მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ თვით დიდმა მოურავმა ვერ გაიგო სად იყო მთავარი მიზეზი საქართველოს დაცემისა და აკი ამაოთაც ჩაუარა ყოველმა ცდამ. .

იმას ვერ წარმოედგინა, რომ ერთობა და ძმობა ადვილათ შესაძლებელია იქაც, სადაც ათი და თუნდა ოცი და ორმოცი მთავარი და სამთავროა, თუ არსებობს მათში მორიგებული კავშირი... ერთობას იგი მხოლოდ ერთის მეფის სკიპტრის ქვეშ ხედავდა, მაგრამ როგორ მოსტყუვდა—მის ღვაწლთა ამაოება გვიჩვენებს...

ყოველის მკვიდრის ვალია ყოველის საშუალებით ისე მოაწყოს თავისი თუ საზოგადო ცხოვრება, როგორც მოითხოვს ამას ადგილობრივი ვითარება და ყოველის საშუალებითაც წინააღუდგეს გარეშე ძალ-მომრეობას, გარეშე ვითარება მიზეზისათვის მისის პირადის ბედნიერების შეწირვას... როგორც სწავლა-აღზრდის მთავარი საგანი თვით მოსწავლე და მისი პირადი ბედნიერება, პირადი განკაცებაა, რისგამოც სწავლა-აღზრდაც სასტიკათ ინდივიდუალური (პირადული) უნდა იყოს, სწორედ ასევე, ყოველის საზოგადოების, ერის და კაცობრიობის არსებობის საგანი უნდა იყოს ერთად ერთი, სახელდობრ: ყოველის კერძო ადამიანის, დიდია იგი თუ პატარა, ჰკვიანი თუ უმეცარი, გამრჯე თუ ზარმაცი—ბედნიერება, ნეტარება, გაადამიანება. ეს კი ყველაზედ უკეთ მხოლოდ და მხოლოდ ერის საკუთრო თვითმართველობათა ერთობით შეიძლება. მაშ გაუმარჯოს თემს და მის ურთიერთობას სხვა თემებთან განურჩევლად წოდებისა, მდგომარეობისა, რჯულისა და ეროვნებისა!..

ივ. რასტომაშვილი.

ერი და კაცობრიობა.

რაშია საბოლოო მიზანი მსოფლიო ისტორიისა? რაშია სიმართლე და ჭეშმარიტება ამ ქვეყნად? პასუხი ერთია: საუკუნოთა ბედნიერება-ნეტარებაში, საუკუნოთა სრულ-ყოფასა და ჰარმონიაში. რით და როგორ უნდა მიაღწიოს ყოველმა ჩვენთაგანმა და თვით მთელმა კაცობრიობამაც ამ, თვით ბუნებისაგან ჩვენს სულსა და გულში ჩანერგილს ბედნიერება-ნეტარებასა და ჰარმონია-სრულ-ყოფასა?—რითა და იმავე ყოველის ჩვენთაგანის და კაცობრიობის საერთო ძალ-დონისა, მისი ყოველი სიღრმე-სიგანის შეგნება-თანხმობისა ამ ერთის სიმართლისა და ჭეშმარიტებისაკენ მიმართვითა!..

ადგილის კურდღელს, ადგილის მწევარი დაეჯერსო,—უთქვამთ ჩვენს ძველებს. ჩვენი დედამიწის ბურთიც, თავის ყოველ წერტილზედ, ისეთს ყოველად განსხვავებულს ადგილებს წარმოადგენს, რომ მათი მოყვანა სრულ-ყოფასა და ჰარმონიაში მხოლოდ ამ ადგილებში მცხოვრებ ერთ შეუძლიანთ და ამიტომ ერთხელ და სამუდამოთ უნდა ადიარებულ იქმნეს ადგილობრივ ერთა ყოველი ბუნებრივი უფლება, ე. ი. უარ-ყოფილ უნდა იქმნას, როგორც ძალიერ ხალხთაგან სისტემების ჩაგვრა და თელვა, ისე მთელის კაცობრიობისაგან ცალკე ერთა შეჭმა და ჩაყლაპვა. ამაშია ბუნებრივი დამოკიდებულობა ერთა და კაცობრიობას შორის და ჩვენც მარტო ასეთს დამოკიდებულობას უნდა ვუშლიდეთ სათაყვანო ფიანდაზსა...

ყოველმა შეგნებულმა წევრმა ერისამ და კაცობრიობისამ ხმა-მაღლა უნდა ადიაროს შემდეგი ორი მტნება:

1) მიყვარს მე კაცობრიობა და თაყვანსა ვცემ მე მას, რადგანაც მარტოთ-მარტო იგია ის მესია, რომელმაც უნდა მიხსნას მე და ჩემი ერი ხალხთა ურთი-ერთ ჰამიაობისაგან" და

2) მიყვარს მე ჩემი ერი და თაყვანსა ვსცემ მე მას, რადგანაც მარტოთ-მარტო იგია ის ძალა, რომელიც მოწოდებულია თვით ბუნებისაგან მისგან საუკუნოებით დაკავებულის ცხოვრებისა და ადგილების სრულ-ყოფისათვის და მით თვით მთელის

კაცობრიობისა და მსოფლიო ცხოვრება-ჰარმონიის განმტკიცება-წარმატებისათვის".

დაიხ, როგორც შეუძლებელია ხსნა კაცობრიობისა გარეშე ცალკე ერთა არსებობა-წარმატებისა, სწორეთ ასევე შეუძლებელია ხსნა ცალკე ერთა გარეშე კაცობრიობისა და ასევე მუშათა და სხვა უოველ-გვარ კითხვათა გარეშე კაცობრიობისა და ერის ხსნის კითხვებისა...

რათ უნდა გვიუვარდეს უველას თავისი ერი, ენა, ზნე, ჩვეულება და შეგვრათაც ვიცავდეთ მათ სხვების გათელვისა, ჩაქოლვისა და მოსპობისაგან?—რათა და იმიტომ, რომ ძალიან ადვილათ შესაძლებელია, როგორც ამას ისტორიაც გვიმტკიცებს, რაც დღეს უველას იბურობს და ჭეშლობს და, მაშასადამე, ჩვენს ხალხსაც,— ერთს მშვენიერს დღეს თვით ეს მბურობელი დაეცეს, გაქრეს და მაშინ რადა გვეშველება ჩვენ, რიდის მაქნისება ვიქნებით, ხომ ბამბულობის მეტი ადარაფერი შეგვრჩება ხელში, თუ უველაფერში მოხურათ სხვისი საუნჯის შემთვისებელნი ვიქნებით და თავისისა კი უარის მეთქველნი! არა. სხვისი უოველი, ენა იქნება ეს, თუ სწავლა, ჩვენ მხოლოდ იმისათვის და იმდენად უნდა შევითვისოთ და მივიღოთ, რამდენათაც ეს დაგვეხმარება ჩვენ თვით ჩვენი ხალხის სასარგებლოთ სხვისის რასამის გადმოღება-გამოუენებაში და არა იმისათვის, რომ უოველი ამით თვით ჩვენ მოვისპნეთ და გადავგვარდეთ... თვის ხანგრძლივ ცხოვრებაში ჩვენს სამშობლოს, საქართველოს, უახლოესი დამოკიდებულება ჰქონდა ბაბილონელებთან, ასირიელებთან, სპარსელებთან, სირიელებთან, რომაელებთან, ურიებთან, არაბებთან, თურქებთან, მონგოლებთან და უოველ ასეთს დროს, რომ ჩვენ უოველი იმათი მიგვეღო და თავისი კი დაგვეკარგა, ახლა ხომ ჩვენი სახსენებელიც ალარ იქნებოდა ქვეყნად! მაგრამ დვთით, ჩვენს ძველებს გარგათ ესმოდათ, სად უნდა თავდებოდეს კალთა და ბატკვი სხვისა და სად თავისასდმი... ჩვენი ძველები თავიდამ ფეხებამდის რადი ეთვისებოდნენ თავ-ანთ, დღეს ერთსა და ხვალ მეორე, მეზობელსაც.

ამ არის უმთავრესი შეცდომა ვიწრო კოსმოპოლიტთა და ერთგულებათა მოძულეთა! კოსმოპოლიტობა სარწმუნოა მხოლოდ როგორც საერთო, საქვეყნო ფედერაცია (კავშირი) და არა როგორც სხვა უველაფრისა ერის ალმნიშვნელისაგან მიმართული ძალა...

თვალ-საჩინო მაგალითს მსოფლიოს ფედერაციის საწყობებისას წარმოგვიდგენს დღევანდელი ომისდის ღვრა რუსეთ-იაპონიის შორის. რაზედ ვიღუპავთ თავს, რაზედ ვწუხვეტავთ ერთმანერთსა, რაზედ გვაქრობთ მთელი საუკუნოებით მამა-პაპათაგან დიდის ტანჯვითა და ვაებით შეძენილს ქონებასა? დროა, დრო მივატოვოთ ერთმანერთის მტრობა, მხეცური ამპარტავნება, ზვაობა! დროა შევეცნოთ და გავიგოთ, რომ უველანი, დიდი და პატარა, მიდიან-რიცხოვანი ერნიც და ათასი-რიცხოვანნიც, უველანი ადამიანები ვართ, უველას ერთნაირათ გვწუხს სიცოცხლე, ბუნების სამშვენიერით დატკბობა, შვილებისა, ოჯახისა და მეზობლების სიამოვნება-სიცოცხლის ტკბერა! დროა უველამ დღევანდელი ერთმანერთის დაბერობა-დამორჩილების აზრი და მის ადგილას გავამეფოთ ჩვენს გულში ყველას უფლება. მსოფლიო ერთია და ჩვენც ერთი დიდი მსოფლიო სახელმწიფო ვიკმაროთ სკვნა-შირო წესით მოპართული და მოწყობილი, რომლის დედა-ქალაქში, თუნდა, ვსთქვათ, კონსტანტინეპოლში, იმეფოებს მთელი კაცობრიობისა და უველა ხალხების სა-ერთო გამგეობა. წევრებად აქ უნდა წარმოგზავნილ იქმნან უველა, სულ უმცირეს, ხალხებისგანაც კი, რამდენ-რამდენიმე კაცი და ქალი, რომლებიც არჩეულ უნდა იქმნენ ამა ხალხების საკუთარ გამგეობათაგან, სადაც ასევე თანასწორათ გამგებლობენ კაცები და ქალები. მსოფლიოს საქმეებს გაარჩევს და გადასწყვეტს, უველასაგან საგანგებულოდ, მსოფლიო გამგეობა, ხოლო ადგილობრივ ხალხთა საშინაო საქმეებს გადასწყვეტს ადგილობრივი გამგეობა. მორჩა და გათავდა. აღარც ომი და აღარც ის სიძულვილი ერთა და კალთა შორის, რომელიც ახლა გვაიძულებს უველას ერთმანერთის უბედურებასა!.. კაცობრიობისა, ერთა, მუშათა და სხვა უველა კალთა სანატრელო ვალი ეს არის და მისკენ უნდა იაროს უველა ჩვენი ცდა და დრო მიმართული... ოცნება და უტოპიაა არა, მკითხველო? იქნება ასეც იაროს, მაგრამ ჭეშმარიტება კია და ამიტომ მ დირსიც სამსახურისა და თავდადებისა...

ივანე როსტომაშვილი.

ისტორია მუშათა კითხვისა.

(მ. სობოლევის წერილიდამ).

მუშათა კითხვა არის კითხვა მუშების ეკონომიური და სოციალურ მდგომარეობის შესახებ და ამ მდგომარეობის გაუკეთესობაზედ. მუშათა კითხვა წარმოსდგა მას მერე, როცა დაიბადა თავისუფალ მუშების კლასი, დაახლოვებით მე-XV—XVI საუკუნეებში, როდესაც თვალსაჩინოდ დაეცა ამქრული ხელოსნობა ევროპაში. წარმოსდგა ეს იქიდამ, რომ უსაქმოდ დარჩენილი ქარგლები იძულებულნი გახდნენ უოველ დღე გამოსულიუენ ბაზარში სამუშაოს საძებნელად. ქარგლების ასეთი გაჭირვებული მდგომარეობა გამოიწვია იმ კარემოებამ, რომ ამქრის ხელოსნებმა იმის შიშით, რომ ხელოსნების სიმრავლემ და მათ შორის ქიშპობამ (კონკურენციამ) არ დასცეს მათი კეთილ-მდგომარეობა და თვით ხელოსნობაც, შემოიღეს მეტის-მეტათ სამძიმო პირობები ქარგლებისა და გარეშე მუშათა ხელოსნებად მიღებაში, მაგ., შემოიღეს დიდი სასეიდელი, დაადგინეს დიდი დრო ხელოსნობის სწავლებისათვის, ხანგრძლივი მოგზაურობა ქარგლებისა ხელოსნობაში დახელოვნებისათვის, რაიცა დიდს ხარჯს თხოულობდა და, მაშასადამე, სუუველას არ შეეძლო შეესრულებინა ეს პირობა; შემოიღეს ძვირფასი გამოსაცდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ნივთების წარმოდგენა ამქრის გამოსაცდელ კომისიაში და, დასასრულ, შემოიღეს მუშკვიდრეობით ხელოსნობის გადაცემა მამიდამ შვილზედ, ანუ მათს სიძეებზედ და გარდაცვლებულ ხელოსნების დაქვრივებულ ცოლების ქმრებზედ. ასე იყო საქმე მე-XVI—XVII საუკუნემდის, როცა საამქრო ხელოსნობის და ხელოსნების მაგივრათ გრცელდება შინად-მრეწველობა, რომელმაც გამოიწვია ქალაქებში ვაჭარ-კაპიტალისტების დაბადება; უკანასკნელნი ეიდუდობდნენ შინად-მრეწველთაგან მათს ნაწარმოებებს და ამ გვარად ხელში იგდებს შინად-მრეწველნი და საზოგადოთ ხელოსნები. ბოლოს ამ ვაჭარ-კაპიტალისტებმა უფრო სარფად დაინახეს, რომ თვით აკეთონ მანქანების შემწეობით დიდს სახელოსნოებში ყველა ის, რასაც ამქრის ხელოსნები და შინად-მრეწველნი აკეთებდნენ და ამ გვარად მუშათა კლასს ახლა თვით უსაქმოთ დარჩენილი ხელოსნები და შინად-მრეწველნიც მიემატნენ.

ეი ყველა ასეთი და სხვა მისთანა გარემოებანი იყო მიზეზი, რომ ქარგლები რჩებოდნენ დღიურ მუშაბად და ამ გვარად დაიბადა ამათგან მუშა კლასი, რომელთ ინტერესი სრულიად წინააღმდეგი იყო მოქარავნეთა ინტერესებისა. მუშების ინტერესი ითხოვდა, რომ მათ მეტი ხელ-ფასი მიეღოთ და თითონ შრომის ბირობანიც საუკეთესო ეოფილიყო მათთვის, ხოლო, ბირიქით, მოქარავნეთა ინტერესი თხოულობდა, რომ რაც შეიძლება ნაკლები ხელ-ფასი მიეცათ მუშებისათვის და თვით სამუშაო ბირობებიც ხელ-სურელი ეოფილიყო მათთვის. მოხსენებულ მიზეზებს, რომლებმაც დაჰბადეს მუშათა კლასი, შემდეგ საუკუნეებში მოემატა შემდეგნიც: უმების განთავისუფლება ბატონებისაგან, უმამულოდ დარჩენილ გლეხთა გამრავლება, მსხვილ მრეწველობის გავრცელება და მანქანების შემოღება-გამოგონება. მე-XV საუკუნიდამ, ჯერ ინგლისში და მერე გერმანიაში იწყება უმიწა-წყლოდ გლეხების გამრავლება. უმთავრესი მიზეზი ამისა იყო: უმების განთავისუფლება ბატონისაგან უმიწა-წყლოდ, დიდრონი მამულების განმტკიცება რამდენიმე გვარის ხელში მაიორატობით, უზომო მფარველობა მემამულეთა, უზომო გადასახადები და დღეები მემამულეთა და სახელმწიფოს სასარგებლოდ, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდა გლეხობას და აიძულებდა მათ სამუდამოდ ხელი აელოთ მიწის დამუშავებაზედ და გადასახლებულიყვნენ ქალაქებში და სხვანი. აქ მოხსენებულ მიზეზებმა და გარემოებებმა ფრიად აჩქარეს მუშათა კითხვის გამწვავება. რაკი თანამედროვე მუშას არა აქვს საკუთარი საშუალება წარმოებისა, რომ შიმშილით არ მოკვდეს, იგი იძულებულია გაჰყიდოს თავისი სამუშაო ძალა, ე. ი. დაუდგეს მუშად იმას, ვისაც აქვს საშუალება წარმოებისა, ე. ი კაპიტალისტს, ხოლო რადგანაც მუშები მრავლად არიან და უყველა მათგანი მშიერ მგელსავით დაწრწის სამუშაოს საძებნელად, კაპიტალისტები ხშირად სულ უკანასკნელ-დის ამცირებენ სამუშაოს ხელ-ფასსა. მუშის ასეთი დამოკიდებულობა კაპიტალისტზე კიდევ იმდენად საგრძნობელი არ იქნებოდა, რომ მუშებს რამე გავლენა და ხმა ჰქონდესთ საქმის წარმოებაზედ და არც მუდმივ შიშში იყვნენ, რომ დღეს თუ ხვალ ისინი უმუშაობისა თუ წარმოების პატრონის ბირადი სურვილის გამო ამ მცირეს ხელ-ფასსაც არ დაჰკარგვენ; ეს არის მთავარი მიზეზი, რომ მუშებს არ შეუძლიანთ გულ-დამშვიდებით იყვნენ თავიანთ ცხოვრება-არსებობაში, ავათმყოფობის და სიბერის დროს, როცა ესენი მშიერ-მწყურვალნი უნდა დაიხოცნენ ანუ ქვეყნ-მომძლე საზოგადოებათა ტვირთი გახდნენ. დაუმატეთ ის გარემოებაც, რომ ეოველი მწარმოებელი, კონკურენციის შიშით და საქონლის უკანასკნელამდის გაიაფებისთვის თუ მეტის გამდიდრების სურვილით, მარად იმის ცდაშია, რომ საუკეთესო მანქანები შემოიღოს თავის წარმოებაში და ამ გზით შეამციროს მუშათა რიცხვი. ცნობილია, რომ ასეთი მანქანების გამოგონების დროს ათი და ასი ათასი მუშების ეოფა-ცხოვრება ხშირად ნამდვილ სახიფათო უბედურებად ქცეულა. ასეთივე სამწუხარო გავლენა აქვს მუშათა კეთილ-მდგომარეობაზედ ეკრედ წოდებულ კრიზისებს, რომლებიც ათვერხებენ დამუშავებული საქონლის გასაღებას, იწვევენ მრავალი მწარმოებლის სრულიად გაღატაკებას, წარმოების შემცირებას და ხშირად სრულიად შესვენებასაც ამა თუ იმ წარმოებისას, რის გამოც მუშები რჩებიან უსაქმოდ. დიდი და მწვავე ადგილი უჭირავს მუშათა კითხვაში სამუშაო დროს სიდიდესაც. სადაც ჯერ კიდევ გავრცელებული არ არის საქარხნო წარმოება, სამუშაო დღე ძლიერ გრძელია. დიდები და მათთან ერთად პატარეებიც მუშაობენ 14—15 და ზოგჯერ 16—18 საათსაც დღეში. დიდი გასუსწორებელი ვნება მოაქვს მუშებისთვის გასაკუთრებით ღამით მუშაობას. რაც უნდა კარგათ და ჰიგიენურად იყოს მოწყობილი ღამით მუშაობა, იგი მაინც ბუნების წინააღმდეგია და ამიტომ დიდათაც მაგნებელი მუშების ჯანსაღობისათვის, რადგანაც ასეთს მუშას დრო არა აქვს საკმაო შესვენებით და მზეზედ ეოფნით რამოდენადმე აინაზღაუროს ხარვეზებისა და სხეულის დანაკარგები, იზრუნოს რამოდენადმე თავისი გონებითი განვითარებისათვის, დასტკბეს ოჯახური ცხოვრებით, შვილების აღზრდით და ადგილით, მათთან თამაშობით და სეირნობით. დაუმატეთ ყველა ამას ის სამწუხარო ამბავი, რომ შენობანი და ადგილი, სადაც მუშები მუშაობენ, მომეტებულს შემთხვევაში, ფრიად ანტისანიტარულია—მოკლებულია მზის ცხოველ სხივებს, სისუფთავეს, სიახლეთეს (ზოგან ისეა შენობა გამოკეთილი მანქანებით, რომ გასაგდი გზა აღარ არის); მუშები მოკლებულნი არიან ხეირიან სადგომებს და ხეირიან საკმელ-სასმელს; ახლა წარმოიდგინეთ ამაების სიძვირე დიდ ქალაქებში და მათი თითქმის სრულიად უშოვნელობა სოფლებში, ქალებისა და კაცებისა ერთათ

მუშაობა, რომელიც იწვევს მათში ხან-მოკლე კავშირსა და ხანგრძლივ ძალვას ბავშვები, მოკლებულნი სოციალურ ადგილსა, ადგილსა,—და თქვენ ნათლად წარმოგიდგებათ მუშების სამწუხარო მდგომარეობა ასეთს ვითარებაში.

მე-XVIII საუკუნიდამ მუშებში ნელ-ნელა იდვიძებს გრძნობა და შეგნება საერთო ინტერესებისა და აქა-იქ არსდება მუშების კავშირები. მაგრამ ასეთი კავშირების დაარსებას ძლიერ ხელს უშლიდა მაშინდელი კანონმდებლობა, რომელიც სასტიკათ უგრძალავდა მუშებს შეკავშირებასა რაიმე საერთო მიზნისათვის. ეს იყო მიზეზი, რომ მუშათა კავშირები იძულებულნი გახდნენ ემოქმედნათ საიდუმლოდ და ამას მოჰყვა ხშირი უწესობანი სოფრანგეთსა, ინგლისსა, პრუსიაში და სხვაგან. მუშები თვალ-საჩინო მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე 1830 და 1840 წლების რევოლიუციებში, მაგრამ არა როგორც დამოუკიდებელი რამე ძალა (ამისთვის მუშათა კავშირები ჯერ კიდევ არ იყვნენ მომზადებულნი), არამედ როგორც მოკავშირენი ბურჟუაზიისა, რომელიც იბრძოდა პოლიტიკურ უფლებათა მოპოვებისათვის.

მუშების პირველ დამოუკიდებელ მოძრაობად ითვლება ცნობილი ჩარტიზმი (ინგლისში) 1837—1848 წლებში. იგი მთლათ მუშების საქმე იყო. მაშინ პირველათ განცხადდა სრული წინააღმდეგობა შრომისა და კაპიტალის ინტერესებს შორის, გამობჟუტდა მუშების მისწრაფება თვისის მდგომარეობის გაუკეთესობისათვის, საზოგადოების ეკონომიურ წეს-წყობილების შეცვლისა და სხვა. მაგრამ ჩარტიზმის მოძრაობაში მაინც ჯერ კიდევ გარკვევით არ იყო გამოთქმული მუშების სოციალ-ეკონომიური პროგრამა. ისინი მარტო იმას თხოულობდნენ, რომ მთავრობას მოეხდინა რეფორმა ხალხის წარმომადგენელთა ნაწილში. სულ სხვას ვხედავთ შემდეგ ხანებში. 1825 წელს ინგლისში მოსპეს კანონი მუშათა კავშირების აკრძალვის შესახებ, ხოლო 1864 წელს საფრანგეთში და 1867 წელს—გერმანიაში. მუშათა მოძრაობაში ამის მერე გარკვეულად გამოცხადდა ორი მიმართულება—ეკონომიური და პოლიტიკური და 1840 წლებში დაარსდა მუშების საერთაშორისო კავშირი. სახელწოდებით „კავშირი მართალთა“, რომლის ცენტრალური კომიტეტი იმყოფებოდა დონდონში; მაგრამ მალე ეს სახელი შესცვალეს „კომუნისტების კავშირად“ და მიიღეს თავის პროგრამად მარქსისა და ენგელსის მიერ გამოტემული „კომუნისტების მანიფესტი“ (1847 წ.). კავშირმა იცოცხლა სულ რამდენიმე წელიწადი და მოისპო 1852 წ., ხოლო 1864 წელს დაარსდა „საერთაშორისო მუშათა საზოგადოება“, რომლის მიზანი იყო შეერთება მთელი დედა-მიწის მუშებისა. ამ საზოგადოების წევრად სხვათა შორის იყო ცნობილი მიხეილ ბაკუნინი, მაგრამ იგი მალე დაითხოვეს ამ საზოგადოებიდამ და მან 1868 წ. დაარსა „საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიული კავშირი“ ანარქიულის ხასიათისა...

1880 წლიდამ იმართება პერიოდიული კონგრესები მუშებისა, რომლებზედაც ირკვევა კითხვები მუშების მდგომარეობისა და მოქმედების შესახებ. პირველი ასეთი კონგრესი გაიმართა პარიჟში 1889 წელს, მსოფლიო გამოფენის დროს. აქ გადასწყდა, რომ კანონმდებლობამ შემოიღოს უფლება 8 საათი მუშაობა დღეში და 1 მაისი აღიარეს უფლა ქვეყნების მუშების საერთო უქმედ და დღესასწაულად.

მუშათა კითხვის შესახებ მწერლობაში სხვებზე ადრე ხმა ამოიღეს თავისუფალ ვაჭრობის წარმომადგენლებმა ინგლისში. ესენი იცავენ არსებულ ეკონომიურ წეს-წყობილებას, თავისუფალი კონკურენციით და კერძო საკუთრებით. ამათის აზრით, არ არსებობს არავითარი კითხვა მუშათა და თუ არის სადმე მძიმე მდგომარეობა მუშებისა, ეს წარმოსდგება მხოლოდ სჭირთლისა და მუშათა ხელის მოთხოვნილების უთანასწორობისაგან, რაიცა თვით მოისპობა, როცა საგსებით განხორციელდება დედა-აზრი თავისუფალ კონკურენციისა. უმთავრესი მიზეზი არსებულ ნაკლებულებათა მუშების მდგომარეობაში, მეტადრე სამუშაო ხელ-თასის სიმცირეში, მუშებიც მეტის-მეტად გამრავლებაა, რაიცა სრულიად არ შეესაბამება საარსებო თანხის გადიდებასა. მომატება მუშათა ხელ-თასისა და გაუკეთესება მუშათა მდგომარეობისა შეიძლება ან ამ თანხის გადიდებით, საიდამაც მუშებს ეძლევათ მაღალი სასყიდელი და ანუ მუშათა ხელის მოთხოვნილების შემცირებითა. ეს უკანასკნელი კი საგსებით დამოკიდებულია თვით მუშებზედა, რომლებიც დიდის სითრთხილით უნდა ეკიდებოდნენ ტოლ-ქმრობასა და მრავალ-შვილიანობასა. რადგანაც, ამათის აზრით, არსებული ეკონომიური წეს-წყობილება, თვით საკუთარი ბუნებრივი კანონების ძალით თავის-თავად მიგვიყვანს საუკეთესო მერმისისა და წეს-წყობილებამდის, ამიტომ ეკონომისტნიმა მიმართულებისა წინააღმდეგნი არიან სახელმწიფოს და საზოგადოების ყოველ გვარ აქტიურ ზომებისა მუშათა კითხვაში, როგორც, მაგ., საქარხნო კანონმდებლობისა. მუშათა დაზღვევისა, მათთვის სადგომების აშენებისა და სხვა. სახელმწიფო, ამბობენ ესენი, მარტო იმას უნდა ცდილობდეს, რომ დაიცვას კერძო საკუთრება და ბარადი და განუსაზღვრელი ეკონომიური თავისუფლებაო.

სულ სხვა გვარად უცქერიან მუშათა კითხვას სოციალიზმი და მათი წარმომადგენელნი—როდბერტუსი, მარქსი და ენგელსი. ამათის აზრით, ძირითადი მიზეზი მუშათა მდგომარეობის ყოველ ნაკლთა წარმოსდგა სრულ განკერძოებისაგან მომუშავეთა და წარმოების საშუალებათა, რისგამოც მუშები იძულებულნი გახდნენ მიჰყიდონ თავიანთი შრომა მწარმოებელ-კაპიტალისტებს, რომელიც, როგორც უფრო ძლიერი მხარე, მარად მათს განმორჩენას (ექსპლუატაციას) სცდილობენ. ცხადია, ამ-

ბობენ ესენი, რომ მუშათა კითხვის გადაწყვეტა წარმოებისთანხის და სხვა უფლებებით მუშებისათვის გადაცემით შეიძლებაო. როგორ და რა გზით? ამაში კი ძლიერ განსხვავდება ერთმანერთისგან მათი აზრი: ერთნი (ფაბიანელნი, დასსალი) ფიქრობდნენ, რომ მუშებმა უნდა აზრუნონ ხელთ იგდონ პოლიტიკური გავლენა სახელმწიფოს საკანონმდებლო დაწესებულებებში და მაშინ შეძლებათ ხელი შეუწყონ მწარმოებელ ამხანაგობათა დაარსებას. სახელმწიფო კრედიტის საშუალებითაო და, ბოლოს, რაც მუშები საკმაებით შეიგნებენ ამ აზრს და მწარმოებელი ამხანაგობანი (სადაც შრომაც და თანხაც ამათი იქნებაო) მოეხმარებენ უფლებან უფლება საქმეში უპირატესობასა, მაშინ თავის თავად თვით გადაწყდება საბოლოოდ მუშათა კითხვაო. სულ სხვას ამბობენ მეორე მიმართულების სოციალისტნი, მეტადრე თანამედროვე სოციალ-დემოკრატნი. ესენი ამტკიცებენ, რომ ყოველად შეუძლებელია მწარმოებელ ამხანაგობათა უფლებან და საყოველთაოთ გავრცელება და არც შეესაბამება ეს მუშათა კითხვის ისტორიულ ევოლიუციასაო. ახლანდელი კაპიტალისტური წეს-წყობილება თვით შეიცავს თავის გახრწნისა და დაშლის იმ ელემენტებსა, რომლებიც ბოლოს მიგვიყვანენ ისეთს საზოგადო მეურნეობა-მრეწველობამდის, სადაც წარმოების ყოველი თანხა და საშუალება თვით საზოგადოებისა იქნებაო, ე. ი. თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების საქმე ისე მიდისო, რომ წვრილად მწარმოებელთ ჰქლაპავენ მსხვილი მწარმოებელნი და ბოლოს დადგება ისეთი დრო, რომ მუშები ველარ აიტანენ ამ მცირე-რიცხოვან კაპიტალისტების თვრფა შობას და მაშინ ბურთი და მოედანი ყოველ-გვარ წარმოებათა და მათს საშუალებათა თავის-თავად სულ მთლად მუშათა ხელში გადავაო!.. ჩვენი დროის ვაჟიაო, ამბობენ ესენი, ხელი შევუწყოთ კაპიტალისტური მეურნეობა-მრეწველობის პროცესის აჩქარებას და მუშათა კლასის გაერთიანება-განვითარება-გაძლიერებასაო.

საეურადღებოა აგრეთვე ეგრედ-წოდებული სახელმწიფო სოციალიზმი, რომლის პროგრამა შემუშავებულ იქმნა გერმანიაში ტიოდტომისა და რ. მეირისაგან. მათის გეგმით, მთავრობამ უნდა შეჭკრას კავშირი მეოთხე წოდებასთან (ე. ი. მუშათა კლასთან), გაანადგუროს ბურჟუაზია და განახორციელოს სოციალისტური წეს-წყობილება წარმოებისა. საშუალო ადგილი სოციალიზმის მოხსენებულ ორ მიმართულებათა შორის უჭირავს ეგრედ-წოდებულ სოციალ-რეფორმატულ ანუ ისტორიკო-ეტიკურ (ზნეობრივ) სკოლას, რომელსაც ემხრობა უმეტესობა გერმანიისა და ინგლისის თანამედროვე ეკონომისტთა. ესენი არ უარყოფენ ძირითად დებულებას არსებულ ეკონომიურ წეს-წყობილებისას, მაგრამ აუცილებლად თხოულობენ მიეცეს მუშებს იმდენი საშუალება, რამდენიც საჭირო მათის ადამიანურის არსებობისათვის. უფრო ეს კი კანონმდებლობითა და თავისუფალ საზოგადო დაწესებულებათა დაარსებით შეიძლებაო, ამბობენ ესენი. სხვანი უპირატესობას აძლევენ მუშებისგან თავის-ნებით დაარსებულ ასოციაციებს. ამის წარმომადგენელია ბრენტანო, რომელიც იცავს თავისუფლებას კონკურენციისას, შრომისას, მრეწველობისას და განუსაზღვრელ კერძო საკუთრებისას. რაღგანაც, ყოველი მუშა ცალკედ აღებული, გაცილებით სუსტია მრეწველთან შედარებითაო, რისგამოც აძვილათ იძაგრება მწარმოებლისაგან, ამიტომ, მუშები უნდა შეერთდნენ კავშირებად და მარტო ამ კავშირთა წარმომადგენლებმა უნდა იქონიონ საქმე მრეწველებთან და არა ყოველმა მუშამ ცალკე. ამ გზით აღვილათ შეიძლება სრული თანასწორნი და თანაბარნი გახდნენ მუშები მრეწველ-კაპიტალისტებთანაო. ზოგიერთნი ეკონომისტები და საზოგადო მოღვაწენი (მაგ. გოლიაკი, დიეტელი, შულც-დელიჩი, რაიფეიზენი) მუშათა კითხვის გადაწყვეტაში უპირატესობას აძლევენ დაარსებას და გავრცელებას საკრედიტო, მომხმარებელ, ამშენებელ და მწარმოებელ ამხანაგობათა. ამათის აზრით ყველა ასეთი დაწესებულება შეაძლებინებს მუშებს საკუთარი თანხის გამოზოგვას, რომელიც თავის მხრით მისცემს მათ შეძლებას დაიწყონ საკუთარი საქმე და ამ გვარად გახდნენ დამოუკიდებელ მწარმოებლებად.

დასასრულ, იხსენიებენ, სიფრანგეთსა, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში ვრცელდება ქრისტიანული სოციალიზმის წარმომადგენელნი-მიმდევარნი, რომელნიც ადგანან იმ აზრს, რომ მუშათა კითხვის გადაწყვეტა დამყარებული უნდა იყოს ადამიანის ზნეობრივ სრულ ყოფაზე, ქველ-მოქმედ მდიდრებისაგან ღარიბებისთვის და საზოგადოებისთვის სხვა და სხვა საქველ-მოქმედო დაწესებულებათა დაარსებაზე და სხვა. სოციალურ უბედურებათა აცდენა და მოსპობა შეიძლება არა რომელიმე გარეგანი ძალით ანუ კანონმდებლობითაო, არამედ მარტო ადამიანის შინაგან მიმართულებათა ძირიან-ფესვიანად გამოცვლითაო. რაც ამ გვარად ადამიანები უფრო ზნეობრივნი და შეგნებულნი შეიქნებიან, მაშინ თავის-თავად მოისპობა დღევანდელი ბრძოლა ღარიბთა და მდიდართა ინტერესთა შორის, მოისპობა უსწორ-მასწორობა სიმდიდრისა და ქონების განაწილებაო, მოისპობა მუშათა მდგომარეობის ყოველი ნაკლი და საზოგადოთ სიდატკე, ადამიანის უბედური მდგომარეობაო. დასხლოგებით ასეთია შეხედულობანი მორისისა, ტომას ოუზასი, კინგსლისა და სხვათა ინგლისში, შტეკერისა (რომელმაც დაარსა ქრისტიანულ-სოციალური პარტია მუშათა), კეტტელერისა და მუთვანგასი გერმანიაში, დამენესი საფრანგეთში და სხვა.

ჩვენი აზრი. ჩვენის აზრით, მუშათა კითხვა ერთი ნაკვთაგანია იმ კითხვისა, რომელიც საზოგადოთ შეეხება მთელი კაცობრიობისა და ერთა ბედსა და ცხოვრებასა. ამიტომ, კურნება მუშათა კითხვისა ამ საერთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვის გარეშე, ისეთივე შეცდომა იქნებოდა, რომორც მთელი სხეულით აყოთმეოთი ადამიანის მორჩენისათვის მარტო მისი რომელიმე ასოს კურნება... მუშათა კითხვა იგივე მთელი კაცობრიობისა და ცალკე ერთა არსებობის კითხვაა და ამიტომ უველა ამათი გადაწყვეტაც უთუოდ მჭიდროდ უნდა იყოს ერთმანერთში შეკავშირებული, ე. ი., რამდენადაც საჭირო და აუცილებელია ხალხთა წინსვლისათვის საზოგადო და კერძო ყურადღება მიექცეს საზოგადოების თვით-მართველობის მოწყობის განმტკიცებას, უველა ადამიანის პირადობების თავისუფლებასა და ხელ-შეუხებლობასა, სწავლა-აღზრდის განკარგებასა და მის ვრცლად მოწყობასა, მეურნეობა-მრეწველობის აყვავებასა და სხვა და სხვა, სწორეთ ასევე საჭირო, და აუცილებელიც არა უკანასკნელი ყურადღება მიექცეს მუშათა კუთხვის განკარგება-გადაწყვეტასაც. ეს კი, რომორც ვსთქვით, სავსებით დამოკიდებულია მთელი კაცობრიობისა და ერთა ბედისა და ცხოვრების საზოგადო განკარგება-გადაწყვეტაზედა. 1, რადგანაც, რა ჯკვა არის, თუნდაც სამოხისებურს მდგომარეობას მივადგიოთმუშებისას თუ სხვა კითხვების გადაწყვეტაში, თუ კი დღეს და ხვალ მოვა რომელიმე ძლიერი ერი და დედა-ბუდიანათ აღგვის და დაბმოწის ზურგიდამ... გავუგეთ ჯკვალ და ჯკვალ მეცნიერთა აზრს და ვნახოთ, თუ რა არის საჭირო საზოგადოთ ერისა და კაცობრიობისა და კერძოთ მათ უოველ ელემენტთა (მთავრობათა, თვით-მართველობათა, მუშათა კითხვისა, აღზრდისა და სხვათა) განკარგება-გადაწყვეტისათვის. მაგრამ ამაზედ შემდეგ.

ივანე როსტომაშვილი.

ᲮᲐᲮᲐᲚᲭᲚᲝ ᲤᲔᲨᲫᲐᲨᲔᲑᲘ

ქართველ ერს

კაცმა თუ თვისი არ იცის,
მას სხვისი არრა არგია,—
თვის თავის უცნობი კაცი
ამ ქვეყნის მეტი ბარგია.

ქართველ ინტელიგენციას

ვინც არ იცის თავის ქვეყნის
მწუხარება, გულის წყლული,
რა ნება აქვს—გაჰკიოდეს:
„მიყვარს ჩემი მე მამული!“

ქართველ ახალგაზდობას

ვინც თვის მიზნად დაისახა
საპირადო წარჩინება,
იმას ელის მშობელ ერის!
საზარელი განჩინება!..

ქართველი მოხელე

ვინც გამაძლობს—მას ვმსახურებ,
მისი ყმა ვარ ყურ-მოჭრილი,
რას მიჰქვია დედა-ენა,
სამშობლო და მის ტკივილი...

თავად-აზნაურობას

თუ გსურთ შეგრჩეთ „თავადობა“,
შრომის ველზე გამობრძანდით,
ქვეყნის ვარამს დაუკვირდით,
ჰკვა-გონებით გამობრწყინდით!..

სამღვდელოებას

ერთხელ მაინც მოიგონეთ
წამებული მაცხოვარი!..

ახალგაზდა ქალებს

თქვენგან უნდა მიენიჭოს
ჩვენს ქვეყანას მომავალი,
ვინძლო დროით გამოეხიზლდეთ,
გაახილოთ ჰკუის თვალი!..

ქართველს კლერკს

„კაცსა თუ ცოლნა არა აქვს,
გასტანჯავს წუთი სოფელი“,
შესაბრალია შენებრივ
მუდამ ტანჯვაში მყოფელი!..

გურულებს

ნეტავი მას, ვინც სიმართლით
და შეგნებით იმოქმედა!..

სამეგრელოს

სულს და გულსა გიშხამავენ
მტერ-მოყვარე მეგობრები,
იუდები წინაგმძღვრობენ,
დასაბამით შენი მტრები,
ვინძლო დროით გონს მოეგო,
მოიგონო წინაპრები!..

რაჭველებსა და ქართლელებს

ვინც სიცოცხლით ბრმა-ყრუდაა,
ის სამარეს იახლოვებს,—

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროა, აწ კი გაიღვიძოთ
და მიჰბაძოთ თქვენს მეზობლებს.

კახელებს

მამა-პაპა ლაღი გყავდათ,
რად არ ჰბაძავთ წინაპრებსა
და თქვენს სარჩო-საბადებელს
რისთვის ატანთ ტურა-მგლებსა?!

თუშ-ფშავ-ხევსურებს

მთას მიკრულნო, შევარდენნო,
ნეტავ, როდის გაიღვიძებთ?
ახალ ძალით აღსდგებით, თუ
სამუდამოთ დაიძინებთ?

სომხებს

მეშურნობამ გაგვამწარა
თავიდანვე,—ყველას გვჯერა;
დროა, ჰკუას დავულაგდეთ,
ტკბილად ვიწყოთ ერთად მღერა.

იმერლებს და ამერლებს

შუღლმა, მტრობამ დაანელა
იმ თავითვე თქვენი კერა...

ქუთაისის ინტელიგენცია

ჰერი, ბიჭო, მარდათ ბიჭო,
გავახაროთ მტრისა თვალი,
ერთმანეთსა გადვამტერიოთ
მტრის სამუსრი ჩვენი ხმალი!..

ქართველთ მუწიგნე-გამომცემლებს

„თუ სახელის შოვნა გინდათ,
დღეს ისეთი ნერგი დარგეთ,
რომ ხვალემა ასე გითხრათ:
ნანერგითა თქვენით მარგეთ!“

სტუდენტებს

ნუ თუ არ იცით, რომ ქვეყნად
ჭამა-სმის გარდა რამეა?
ბანქოს თამაშს და ქეიფში
უნდა ათენოთ ღამეა?

„წ. კ. გამ. სზ.“-ს

ეკლიანი გაქვს გზა-კვალი,—
დაგიმადლებს მომავალი.

ფილჰარმონიულ სზ.

შურმა, მტრობამ, შენ-ჩემობამ
მიწა უნდა გაგვითხაროს,
დაგვმარხოს ჯერ უშობელი,
სამძიმარი დაგვამღეროს.

სამეურნეო ბანკი

ხელ-მოკლეთა დასახმარად,
მართალია, სახელით ვარ,
ნამდვილად კი დასახრავად
ბატონ მდიდრებს მე ვახლავარ.

ნ. ცხვედაძეს

ეცადე, დიდსა შენობას
უფლებაც დაჰყვეს დიდია,
თუ გინდა ჩვენ-ა შვილთათვის
შეიქმნე გზა და ხიდია!..

ი. გოგებაშვილს

მეტი რა გითხრა, გელირსოს
დედაენისა გაფურჩქვნა.

ა კ ა კ ი ს

ნეტავი მას, ვინც თვის მიზანს
მთელს სიცოცხლეს მტკიცედ მისდევს,
მას სწამს მხოლოდ თვის ქვეყანა,
სხვა არაფერს არ დაგიდევს.

ნ. ნიკოლაძე

რაც აქამდე ვიქადაგე სიტყვითა,
შევასრულებ იმას ახლა საქმითა!..

ივ. გომართელს და ამხ.

კვალად ბნელა და ზამთარი
ისევ ისე სახსარს ჰყინავს,
სიმართლისა მოტრფიალენ,
მითხარ, ნეტავ რისთვის გძინავს?!

ალ. ჯაბადარი

„მე ვარ და ჩემი გაზეთი,
გამთენებელი ღამისა,
რაიცა მე არ შემამკობს,
ღირსი არ არის „რამისა“!

ძმათა ზუბალაშვილებს

„რასაცა გასცემთ თქვენია,
რაც არა დაკარგულია“,—
კურთხეულ იყოს მარადის
თქვენი მშობელის სულია!

ზ. ჭიჭინაძეს

პაწაწინა ფუტკარივით
დახტი, დარბი—სად არ გინდა...

ყვავილების წვენს აგროვებს,
რომ გაკეთდეს თაფლი წმინდა.

განდეგილი

მგოსნის ჩანგი, საამური,
კორექტურას ვანაცვალე!

ს. ქვარიანი

„მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს ვმსახურებდე“,
—ვინძლო, ძმაო, სიკვდილამდე
შენს მიზანს არ გადასცდე!

ზ ა ნ გ ი

იმიტომ ვარ ზანგი—
ყველას მოვსცხო ჟანგი.

ზოგიერთი ქართ. მოდვაწე
ძილი, დოში, არტალა
მოგვთავაზეთ ჩქარ-ჩქარა!..

სამეგრელოდან გამოსულ მწერლებს
(დუტუ მეგრელს, ვ. გუნიას და სხ.)

თქვენს ძმებსა რწმენას ულახვენ,
როდის-ღა დასძრავთ ენასა...

გ. ხაბაშიძე

ნეტავ, თუ ღმერთი მაღირსებს
ქართული სცენის მოწყობას?
—რად არ მიჰყევი მცხოვანი,
ახალგაზდების გაწრთობას!..

ეჭიმებს

ვინც თვის თავს ვერ უმკურნალებს,
იგი როგორ მიმკურნალებს...

„ცნ. ფურც.“ კრიტიკოსებს

სუყველაყას მიტომ ვლანძღავთ,
რომ სახელი მოვიპოვოთ;
როდი ვსცდილობთ, ნაწერებში
რამ ღირსება ჩვენ ვიპოვოთ.

„ივერიას“-ს

გაილვიძე, გაიმართე
და სეხნიას ემსახურე,
თუ არა და შენი კარი
სამუდამოდ შეიხურე.

„ცნ. ფურც.-ის“

ააშენოს ქვეყნის პრესა,
მათ ცნობებით ვიბერები,

„ხალხს ჰგონია მე ვმუშაობ“,
არა, სხვისით ვიკვებები.

„მოამბე“

ზამთრის პირზე დავმსხვილდები
და ზაფხულში დავმჭლევდები,
თარგმანებით შევსებული
მკითხველებთან ვიგზავნები.

„მოგზაურ“-ს

თუ გსურს ხალხის სამსახური,
გახდი ჩაგრულთ თანამგზავრი,
ახალს კვალზე გამობრძანდი,
განგვიქარვე გულის ჯავრი:
ჩაგრულსა და დამჩაგვრელსა
განუჩინე სწორე მსჯავრი.

„ჯეჯილ“-ს

ეცადე, რომ შენვე ნახო
შენი კარგი მოსავალი.

„ნაკადულს“

პატარა ხარ, გაიზრდები,
უკეთესად დამშვენდები,
თუ უარჰყოფ ხათრს და მასთან
ულირს ნაწერთ ასცილდები.

ქუთაისი

ქვეყანა და ქვეყნის საქმე
მე არ მიღირს გროში ფული,
ადვოკატებს გავამრავლებ—
ამოხუთონ დევნულთ სული.

ბათუმს

წარმოება დიდი გაქვს,
მაგრამ ნეტავ ვის მიაქვს?

გ ო რ ი

ნურვინ ფიქრობს, რომ ქალაქად გარდვიქცე,
რჩევისამებრ შევიცვალო წესები!—
ლიახვ-წუმპით და მტკვრით უნდა დავიქცე,
იმიტომ რ-მ... არ მწყალობენ „ჩლენები“...

ფ ო თ ს

ნეტავი შენ, თუ თავთან
ფეხებიცა კარგი გაქვს
და შენს სარჩო-საბადსა
თუ გარეშე არა ხრავს.

სიდნადი

ტყუილია, მე ქალაქი არა ვარ,
სოფელივით უკან უკან მივდივარ.

თქვა

აღთქმა დავდე: არ წავიდე მე წინა,
რადგან ჩემში შურს და მტრობას აქვს ბინა...

ს უ ხ უ მ ს

ნეტავ როდის გელირსება
შენ პატრონი რიგიანი?

ზ ა ზ უ რ გ ე თ ს

შენი საქმენი წინ არ მიდიან,—
ნეტავ ქალაქი რისთვისა გქვიან?

ბ ა ქ ო

ვინც თვის ოფლით მაკეთებს—მე იმას სულ არ ვაძლობ:
ბატონებსა ვახლავარ, მუშა ხალხს კი ტყავს ვაძრობ.

გ უ რ ი ა

ძმობა, ერთობა, თანასწორობა,—
უსამართლობას ბრძოლა, დამხობა?..

მეცვლე

ა დ ა მ ი ა ნ ს

ჰხედავ, ვარდი გაფურჩქვნილა,
სუნსა ჰფენავს არე-მარეს,
მზის სხივები, მთვარის შუქი,
შეამკობენ ყოველ მხარეს;
ფრინველები თავისუფლად
სტკბებიან ამ მშვენივრებით,
პირუტყვები, უენონი,
მოილხენენ ველ-მინდვრებით!..

*
* *

და შენ, ქვეყნის სიამაყევ,
ადამის ძევ, დღეს გვემულო,
შებორკილო, მოძმისგანვე
უნუგეშოთ დატანჯულო!
ნუ თუ ალარ გაიღვიძებ,
საცოდავად წამებულო,
რომ შენს თავსა უპატრონო,
შვება იგრძნო, ინეტარო!..

აზაძე

5 იანვარი 1905 წ.

მ ე ხ ს ი ე რ ე ბ ა.

მეხსიერება, როგორც ეს უკვე შეურყეველ აზრად არის ცნობილი პსიხო-ფიზიოლოგიაში, არ შეადგენს განსაკუთრებითს ნიშნს, უკეთ რომ ვსთქვათ, იგი რეალური რამ კი არ არის, არამედ ორგანიული თვისებაა კაცის ნერვების სისტემისა; ეს თვისება კი იმაში მდგომარეობს, რომ კაცის ნერვები იღებენ, ინახამენ და სხვა და-სხვა პირობების ზედგავლენით აღადგენენ ყველა იმ შთაბეჭდილებებს, რომელთაც დაუტოვებიათ მათზე (ნერვებზე) კვალი. რადგანაც ერთი და იგივე შთაბეჭდილება ყოველ კაცის ნერვების სისტემაზე ერთნაირათ არ მოქმედობს და არც ერთნაირის ძლიერებით აღიბეჭდება მასში, ამის გამო ზოგნი საუკეთესოთ იხსომებენ საგნის გარეგან ფორმას (მხატვრები), ზოგნი ადვილათ სწავლობენ ენებს (ლინგვისტები), ზოგნი—მელოდიებს (კომპოზიტორები) და სხ. აქედამ აშკარათა სჩანს, რომ მეხსიერება ერთი არა ყოფილა. არის მეხსიერება მხედველობითი, მსმენელობითი, მოძრაობითი, შეხებითი და სხვა. ჩვ ნ აქ ფენომენალურ (არა-ჩვეულებრივ) მეხსიერებაზე გვაქვს ლაპარაკი და არა საშუალოზე: პირველის შექმნა არ ძალუძს აღზრდას, ხოლო დაყოლილი თვისების განვითარება-გამაგრება-კი შესაძლებელია ვარჯიშობით. შრომა და სისტემატიური ვარჯიშობა ხელს უწყობენ ნიჭის განვითარებას, მის გაშინაარსებას, თუმცა-კი ნიჭის რაოდენობას და მის სიღრმე-სიდიადეს თითქმის რო ვერასა ჰმატებენ. პროფესორი სკვორცოვი ამბობს, რომ კაცის ჭკუა მიაგავს ნათელს, რომელიც შუქსა ჰფენს რა საგნებს, თვით არ მატულობსო. გონება რომ იზრდებოდეს სწავლის ზედგავლენით, მაშინ ეხლანდელი საშუალო განათლების კაციც-კი გაცილებით უფრო ჭკვიანი და გონიერი იქნებოდა საბერძნეთის გამოჩენილ ფილოსოფოსებზე, მაგრამ კაცობრიობა ეხლაც განცვიფრებაშია პლატონისა, სოკრატისა და არისტოტელის აზრთა აღმაფრენით და მათის სიღრმით. ცოდნა კაცის გონებას მხოლოდ შეძლებას აძლევს ახსნას ცხოვრების სხვა და სხვა მოვლენანი განსაზღვრულ დარგებში. გამოჩენილი მათემათიკოსი ნიუტონი მეტად სუსტს და მასთან ვიწრო ფანატიკურ მსჯელობას იჩენდა სარწმუნოების შესახებ (მხოლოდ კათოლიკენი ცხონდებიანო), რის მიზეზიც, რასაკვირველია, საგნის უცოდინარობა იყო და არა გონების სისუსტე.

დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს. როგორც უკვე ვსთქვით, მეხსიერება არ არის ერთი მთელი რამ, იგი არ წარმოადგენს ცალკე ნიჭსა. ამის დასასაბუთებლად მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს: ტვინის სხვა და სხვა პატოლოლიური ცვლილებანი (უფრო კი ციება, როგორც ამბობს რიბო) გამოიწვევენ მეხსიერის მხოლოდ რომელსამე მხარის ზიანს, მაგ.: ზოგი ივიწყებს ლაპარაკს, თუმცა-კი სალაპარაკო ორგანონი საღი აქვს (афазія); ზოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივიწყებს წერას, თუმცა ხელები თავისუფლად მოქმედობენ (аграфія). ყველა ეს პათოლოლიური მოვლენანი მჭიდროდაა დაკავშირებული კაცის ტვინის იმ ნაწილებთან, რომელნიც შეადგენენ ტვინის დიდი ნახევრის ქერქის ნივთიერებას (корковое вещество большого полушарія). ასე რომ მეხსიერება მთლად ფიზიოლოგიური მოვლენაა, მხოლოდ უკანასკნელი მოითხოვს ორგანიზმიდან ენერგიას სისხლის სახით, უკანასკნელის რაოდენობა კი მასში განსაზღვრულია. აქედგან თავისთავად გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ შეუძლებელია კაცი ერთსავე და იმავე დროს გამოჩენილი მათემათიკოსიც იყოს და ისტორიკოსიც. ყოვლად შეუძლებელია, რომ იგი ადვილად იხსომებდეს როგორც ისტორიულ ფაქტებსა, აგრეთვე ქიმიურ ფორმულებსა, მცენარეულების სახელებსა, ენებსა და სხვა.

ჩვენ გავითვალისწინეთ მეხსიერების, ასე ვსთქვათ, ბუნება და მისი ძალა, ახლა ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რა სახით და როგორ მოქმედობს მეხსიერება, ე. ი,, როგორა ხდება თვით დახსომების პროცესი. ხსოვნა მოქმედობს ასოციაციების (შეკავშირების) ძალითა: შემეცნებები, წარმოდგენები, ცნობანი, აზრები, მოვლენანი უკავშირდებიან ერთმანეთს ან როგორც მიზეზი და მისი შედეგი, ან როგორც მგზავსებანი და ან როგორც კონტრასტები. ამ რიგათ ჩვენი გონებითი საუნჯე წარმოადგენს ერთ ჯაჭვსა, შემდგარს რგოლებიდგან: ყოველი ახალი შემეცნება უნდა შეუდუღდეს უკვე არსებულ ჯაჭვს და მით აღიბეჭდოს მეხსიერებაში (ტვინში). ასეთი შეკავშირება ახალი ცოდნისა ძველებთან შეიძლება მხოლოდ იმ დარგში, რომელშიაც ჩვენს გონებას უკვე უმუშავნია და საკმაო ასოციაციები შეუქმნია: თუ ყოველი ახლად მიღებული შთაბეჭდილება არ ჩაებმის ასოციაციის რომელიმე წინად მიღებულ შთაბეჭდილებებს, მეხსიერება ვერ გამოიჩენს თავის ძალას და იგი მიეცემა ჩქარ დავიწყებას; ამის გამო ჩვენ ადვილად ვიხსომებთ ყველა იმას, რასაც კი კავშირი აქვს ჩვენს სპეციალურ პროფესიასთან და, პირიქით, გვიძნელდება დახსომება ყველა იმისა, რასაც ნაკლები ან მეტათ შორი კავშირი აქვს ჩვენ-მიერ ამორჩეულ დარგთან. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ისტორიკოსი მეტათ ადვილად და მასთან მტკიცეთ იხსომებს მარტო ისტორიულ ფაქტებს, ასტრონომი—ასტრონომიულ ამბებს და სხვა. უშინსკი თავისს ანტროპოლოგიაში ამბობს, რომ ნიუტონს ადვილად შეეძლო დაეხსომებინა რამდენიმე დღით რიცხვი, შემდგარი 39-ციფრიდგან, სხვა დარგებში კი ესევე მეცნიერი მეტად სუსტ მეხსიერებას იჩენდა, რადგანაც ნიუტონი, როგორც მათემატიკოსი, ადვილად მოახდენდა ასოციაციებს მის-მიერ შესწავლილ დარგში. აგრეთვე ცნობილია ის ფაქტი, რომ გამოჩენილ რომანისტს ვალტერ-სკოტს, ადვილათ შეეძლო დაეხსომებინა ზეპირათ მთელი პოემები, მხოლოდ მათემათიკაში კი სუსტს მეხსიერებას იჩენდა. ყველამ კარგათ იცის, რომ შვეიცრები საოცარ მეხსიერებას იჩენენ მიმსვლელ-მომსვლელთა სახის, მათ კალოშებ-ტანისამოსის დახსომებაში, რაიცა ადვილად აიხსნება იმავე ასოციაციების ძალით და ვარჯიშობით ვიწრო სპეციალურ სფერაში. აქედგან ის დასკვნა მომდინარეობს, რომ მეხსიერება ვითარდება თან-და-თანობით და რომელსამე დარგში; ნათქვამიდგანვე სჩანს, რომ მეხსიერებას არა აქვს უნივერსალური, საზოგადო, ხასიათი, თუმცა კი არიან იმისთანა პირნიც, რომლებიც მრავალ მხრივ ცოდნას იჩენენ; ეს გარემოება არ ეწინააღმდეგება ზემო ნათქვამს: თუ კაცი სისტემატიურათ კითხულობს და ხშირად უბრუნდება უკვე გავლილ გზას, მაშინ ასოციაციები მჭიდროთ შენდებიან და მასთან ადვილათაც: ამ შემთხვევაში შესაძლებელია კაცმა თვალსაჩინო მეხსიერებება გამოიჩინოს მეცნიერების სხვა-და-სხვა დარგებშიაც; ამას უნდა ელტვოდეს ყოველი ჩვენგანი კითხვის დროს. მეხსიერება რომ რეალური ნიჭი იყოს, მაშინ ვარჯიშობა მას ყოველ მხრივ განავითარებდა-განამტკიცებდა, მაგრამ, ეს ჩვენდა საუბედუროთ (თუმცა კი უფრო საბედნიეროთაც) ასე არ არის: მეხსიერება ვითარდება იმდენად, რამდენათაც ჩვენ წინ მივდივართ რომელიმე მეცნიერების შესწავლაში, ამისთვის კი საჭიროა, რომ კაცის მთელი სიცოცხლე და არა რამდენიმე თვე და თუნდ წელიწადიც. ბეგრი *) იმ აზრისა არის, რომ ზეპირათ სწავლა ლექსებისა, სტატიებისა და სხვა გაუადვილებს კაცს სწავლის შეძენას, მაგრამ ეს, როგორც დავინახეთ, ეწინააღმდეგება თვით მეხსიერების ბუნებასა და ფსიხო-ფიზიოლოგიას. მეხსიერების საზოგადო ვარჯიშობა მოკლებულია ყოველივე ნიადაგს და ეკუთვნის ილიუზიას; ამის მიუხედავათ პსევდომეცნიერები პელიმონი, მაკუენი, ჭაინშტეინი არწმუნებენ გულუბრყვილო საზოგადოებას თითქოს მათ შეეძლოთ რამდენიმე თვის განმავლობაში ისე განუვითარონ კაცს მეხსიერება, რომ მას ადვილათ შეეძლოს უგულისყრის

*) მათ შორის ძველი სკოლის წარმომადგენელი ბ-ნი ლ. ბოცვაძეც, რომელმაც ზეპირად სწავლების დასაცველად წარსულ წელს გაჰიანურებული წერილი დაბეჭდა „ივერიაში“.

რედ.

დახსომება. ესენი ამბობენ, რომ ხელთ ვიგდეთ საიდუმლოების გასაღებიო, მოკვმართეთ ჩვენ (მხოლოდ ფულები-კი წინათვე გამოგვგზავნეთო) და შეუძლებელს შევძლებთო. მათი რეკლამები და თვით მათი ხელოვნებაც მოკლებულნი არიან ყოველ მეცნიერულ ნიადაგს, რადგანაც, როგორც დავინახეთ, მეხსიერება ვითართება თან-და თანობით, ანუ უკეთ ვსთქვათ, მტკიცდებიან და იზრდებიან ასოციაციები, რომლებიც უადვილებენ კაცს დახსომების პროცესს. განა-კი საჭიროა, რომ კაცი ყველაფერს იხსომებდეს? აუარებელი მასალა, რომელიც ამ შემთხვევაში მეხსიერების არსენალში შეიკრიფებოდა, დასჩაგრავდა თვით გონებას და უკანასკნელი ვერავითარ მწყობრობას და წესს ვერ შეიტანდა მასში; ამ შემთხვევაში გონება მიეგვანება იმ ხუროთ-მოძღვარს, რომლისთვისაც იმდენი მასალა მიუწვდენიათ, რომ ის მოკლებულია საშუალებას მოიხმაროს იგი და შეიტანოს უწესო ხროვაში რაიმე მიზანი და წესი. მიზანი თვით მასალა კი არ არის, არამედ მისი შემუშავებაა. ესევე ითქმის მეხსიერების საუნჯეზე, რომელიც გონებამ უნდა გაატაროს ანალიზში, გამოიყვანოს საზოგადო დასკვნები და კანონები და მოახდინოს უმაღლესი სინტეზი. არიან იმისთანა პირნი, რომელთაც ბევრი რამ ახსოვთ, მაგრამ ვერ შეუნელებიათ დაუმუშავებელი მასალა. დასასრულ, აღვნიშნავ იმ მოვლენას, თუ რამდენათ დაკავშირებულია მეხსიერების ასეთი თუ ისეთი სიმტკიცე კაცის სისლის მოძრაობასთან. ჩვენ უფრო ადვილად ვიხსომებთ დილით ვიდრე საღამოთი, რადგანაც დილით სისხლი, სუფთა ჰაერის ზედგავლენით, მარდათ მუშაობს ორგანიზმში; აგრეთვე ახალგაზრდობაში უფრო ადვილად იხსომებს კაცი, ვიდრე სიბერეში და ამის მიზეზიც იგივე სისხლის სხვა და სხვა სიჩქარით მოძრაობაა.

ნიკო ახმეტელაშვილი.

სიმღერა

ძმანო, ხანგრძლივ მონობამა
მთლად გაგვიქრო გმირის სული,
დაგვალაჩრა, არც კი ვიცით,
რასა ჰქვიან სიხარული,
უსასოოდ ვიტანჯებით
ყველასაგან დაჩაგრული!..
მაგრამ, რა კი იმედებით
აგვიჩქროლდა მონებს გული,
ნუ შევდრკებით, გამოვიდეთ
სამუშაოდ დარაზმულნი.—
შრომის ველზე გავიწვრთნებით
სიბნელისგან დაჩაგრულნი!..

* *
*

ოდეს ქარი არა ჰბერავს
კერას, ცეცხლი ჩამქრალია,
ნაკვერჩხალი აღარ ღვივის,
ის ნაცარში მიმქრალია,
შინ სიცივე ისადგურებს,
ყველგან მეფობს მის ძალია,
ყოველ სულდგმულს ძარღვში ხუთავს,
ყველა მისით დამძრალია,—
მაგრამ თუ რომ დაუბერა
ქარმა კერას—რაც ძალია,—
გაღვივდება, აენთება,
ჭერს ასწვდება მის ალია!..

* *
*

არ გინახავთ, ხშირად ცაზედ
ღრუბლები რა ზანტად ვლიან,
მსოფლიოსაც თითქოს სძინავს,
ფრინველები არ იძვრიან?
ჰყუჩობს უტყვი და მეტყველი,
თითქო უფსკრულს მიილტვიან,
მაგრამ თუ რომ ელვამ გაჰკრა,
მსწრაფლ ღრუბლები დაიძვრიან,
ცა იგრგვინავს, დაიჭექავს,
მეხი დაჰკრავს სამ ძალიან,
ყოველივე გაცოცხლდება
და უქმად არ გაივლიან:
წვიმა მოვა... მთა და ბარსა
გადარეცხავს, ალამაზებს,
ქარი ხეებს დაუქროლავს,
ფოთოლ-შტოებს ათამაშებს.
მზეც ამოვა, თვის სხივებით
არე-მარეს აკაშკაშებს,
ველ-მინდორი აყვავდება,
მთესველის გულსა გაახარებს.
ასე არის: დამონებულს,
ვის მონობა ამწუხარებს,
შრომის ველზე თუ კი გავა,
იმას იგი აღამაღლებს! ..

იზიძე

დედაენა, როგორც წარმართობის დამნერგველი ჩვენს მოზარდ თაობასა და ხალხში.

ბევრს ვლაპარაკობთ, ბევრსა ვწერთ, რომ ჩვენი ხალხი ერთობ დაეცა ნივთიერად და ზნეობრივად, ძმა ძმად აღარ მიგვაჩნია, მეზობელი მე-

ზობლად, თანამემამულე თანამემამულედ, სიწმიდე სიწმიდედ, სამშობლო სამშობლოდ, დიახ, ვსტი რით და ვგოდებთ ჩვენს ასეთს უბედურს ყოფასა, თითქოს ვცდილობთ კიდეც გამოვიცნოთ ამის მიზეზები, მაგრამ ერთობ მცირედ, უგულოდ, ვითომც არც-კი არსებობდეს ესენი ჩვენთვის. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ჩვენი ყოველი ავი და კარგი ჩვენი მოზარდი თაობის და ხალხ ს აღზრდაზეა დამოკიდებული. ეს ყველამ ვიცით და აკი ვცდილობთ კიდეც, რომ უკეთ აღვზარდოთ ჩვენი შვილები!? მაშ რისგან არის, რომ ჩვენს ამოდენა ცდას ნაყოფი არ უჩანს და ჩვენი ხალხი წინ კი არა და უკან კი მიდის ყოველის მხრით? რისგან არის, რომ ღვთაებრივის სიყვარულის, მოთმინების, შეწყალების, მოყვასთათვის თავდადების და სხვა სათნოებათა მაგივრათ, ჩვენი ხალხი წარმოუდგენელს წარმართობას (язычество) იჩენს?—რისგან და იმისგან, რომ მთლათ ჩვენი ცხოვრება და განსაკუთრებით თვით სკოლური სწავლა-განათლება ნამდვილი წარმართულია. განსაცვიფრებელს მოვლენას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ქრისტიანობამ 1600 წლის განმავლობაშიაც ვერა და ვერ ამოკვეთა ჩვენს ხალხში ადამის ძმის წარმართობა, ვერა და ვერ შეგვაგნებინა ყოველის ჩვენგანის დანიშნულება ამ ქვეყნად, ვერა და ვერ შეგვაძნევინა სასუფეველი მართალთა ამ ქვეყნად... მიზეზი კი სულ თვით ჩვენი ვითომ და განმანათლებლებ:ს გაუნათლებლობა და წარმართობაა! გაიცანით ბ-ნებო „დედა ენა“ ი. გოგებაშვილისა და დარწმუნდებით, რომ ჩვენ მართალს ვამბობთ, რომ ჩვენის ხალხის და ოჯახების გათახსირება და წარმართობა სწორედ ამ წიგნიდამ იწყობა. რომ წერილი არ გაგვიგრძელდეს, სხვა მრავალთა შორის, მოვიყვანოთ აქ უფრო თვალ საჩინო წერილები ამ წიგნიდამ, რომლებიც ყოვლად წარმართულია და ამიტომ თავის დღეში არც ადგილი უნდა ჰქონდეთ მისთანა წერილებს საყმაწვილო წიგნებში.

1) თავისი თავის დასჯა (გვ. 47). „პატარა ნიკოს ჯავრი სჭირდა თავისის დისა სადილის დროს ჩუმად ლობიოს შეჭამანდში ცოტა(!) ნაცარი ჩაუყარა. დამ თვალი შეასწრო და ძმას ჩუმადვე(!) ჯამი შეუცვალა. როცა სადილი გაათავეს, დამ სიცილით უთხრა ნიკოსა: „ნაცრიანი შეჭამანდი გაამოსო“.

გვიბრძანეთ: რას ასწავლის იგი მოზარდ თაობას? ქრისტიანულს მიტევებას, თუ წარმართულს „კბილი კბილზედა“-ს? თქმა არ უნდა უკანასკნელს. და აკი კიდეც დილის მზის ნათელის სისწრაფით ეფინება იგი ჩვენს მოზარდ თაობას და თვით ხალხსაც...

2) ქურდი (54 გვ.). „გლეხს ფულები მოჰპარეს. ქურდი ეძებეს, ვერ იპოვნეს. შეიკრიბნენ ერთად გლეხები. მამასახლისმა უცებ დაიყვირა: დახე, დახე, ქურდს ქუდი ეწვისო. ერთმა გლეხმა ფიცხლავ ქუდს ხელი იტაცა. მაშინ ყველამ შეიტყო, რომ ის იყო ქურდი“.

საინტერესოა ვიცოდეთ, რა მოსაზრებით ჩაურთავს ბ ნს გოგებაშვილს ეს წერილი საყმაწვილო წიგნში? თუ იმისთვის, რომ ბავშვებს ასწავლოს ეს უებარი წამალი ქურდების დაჭერაში, ძალიან სცდება, რადგანაც ჯერ მაგალითი არ ყოფილა, რომ ქურდები ასეთი უბრყვილონი იყვნენ, როგორც ავტორის ქურდია. ჩვენის აზრით ამ წერილით ახალთაობა იმას უფრო ისწავლის, თუ როგორ დამალოს ქურდობა.

3) ნაბადი სავარცხელი (54 გვ.). „ორი კაცი ერთად მიდიოდა, ორნივ ქაჩლები იყვნენ. გზაზე სავარცხელი იპოვნეს და წაიჩხუბნენ: არა, მე მერგება, და არა მეო. მესამემ დაინახა, გაიცინა და უთხრა: კაცნო, სავარცხელისათვის რა გაჩხუბებთ? დასავარცხნი თმა არც ერთს გაბადია და არც მეორესაო“.

ზედ-გამოჭრილი წარმართული წერილია, დ სცინის ქაჩლებს, კუტებს, ბრმებს, კოჭლებს, კუზიანებს და ამასვე ასწავლის და უნერგავს მოსწავლეთ.

4) ჩხუბი სულ არაფერზედ (59 გვ.). „ორნი ძმანი გაიყარნენ. ერთი ქვევრი ღვინო უნდა გაეყოთ. შევიდნენ მარანში მე ბევრი მერგებაო სთქვა ერთმა. არა მე უფრო მეტი უნდა წავიღოვო, უთხრა მეორემ. მოუვიდათ სულელობა, გამართეს ჩხუბი. მოხადეს ქვევრი და ცარიელი კ. დახვდათ“

ესეც ნამდვილი წარმართული წერილია, ასწავლის დაცინვასა და სიამოვნებას სხვების უბედურებით იმის მაგივრათ, რომ შეაბრალოს.

5) გვრიტი (62 გვ.). სავსებით წარმართული წერილია. წაიკითხეთ ამის ბოლო და თვით დარწმუნდებით ამაში. აი ეს ბოლო: „ამასობაში გლეხს გამოელვიძა, წამოვარდა ზეზედ, ბუხართან მივიდა, ცეცხლი უნდა აენთო. ამ დროს ფილთაქვა გასქდა და ნაღვერდალი თვალებში შეეყარა, მახათი ბარძაყში შეერჭო, მამალმა ზევიდგან დაჰყივლა, ვირმა ერთი ღონიერი წიხლი ჰკრა და გონება სულ მთლად დაუბნია“... განმარტება საჭირო არარაა.

6) ჩაი და შაქარ (69 გვ.). ცნობილი ზღაპარია, სახალისო ბავშვთათვის, მაგრამ ავტორმა თავის წარმართულის ჩამატებით უმანკო ზღაპარი სრულიად გააწარმართა. წაიკითხეთ ბოლო და დარწმუნდებით: „მონადირემ ჰკითხა ჩიორას: ეგრე მწარედ რამ დაგაღონაო?—არ გებრალები, ერთმა წუწკმა(!)

მელამ შვილები სრულიად დამიჭამაო.—„აბა წამო, მიჩვენე ის წუწუკი(!) და მე გაუურებინებ მის სეირსაო“. ჩიტი გაუძღვა მონადირეს და მელასთან მიიყვანა. მონადირემ მელას თოფი ესროლა, შიგ პირში მოარტყა და კბილები ჩააყრევინა.

7) ასეთივე წარმართულია წერილი „მელა და მწყერ-ჩიტა“ (93 გვ.). მწყერ-ჩიტას ოინებით საწყალს ხარს რქა მოსტეხეს, მაწვნით სავსე ქილა გატეხეს, ბავშვს და მელიას თავი გაუტეხეს და ავტორი კი ყველა ასეთ საქციელს სიცილს ეძახის. წარმართობაა, მა რა!?

8) ცალ თვალა ირემი (95 გვ.). „იყო ერთი ცალ-თვალა ირემი. ცალ მხრიდგან მიპარვისა ეშინოდა და ძოვნის დროს სიფრთხილეში იყო. ბოლოს იფიქრა: წავალ ზღვის პირასა, ბრმა თვალს ზღვისაკენ ვიქ, სალს ხმელეთისაკენ და სიფრთქილე არ მომინდებაო. სწორედ ასეც მოიქცა. მაგრამ მონადირემ შენიშნა ირმის დაუდევრობა, ზღვიდგან ნავით მიეპარა, ესროლა ისარი და მოჰკლა ირემი“.

აქ ადამიანმა მართალია მეტი მოხერხება გამოიჩინა, მაგრამ მეტი უგუნურობა და სიმხეცეც. მე რო ვყოფილიყავი, ასეთს განიერს და შეკნებულს ირემს, როგორსაც ავტორი გვიხატავს, თავის დღეში არ გავიმეტებდი მოსაკლავად. ჩვენი ავტორი კი განუსჯელად ადგილს აძლევს ამ წერილს საყმაწვილო წიგნში, თითქოს მედიდურად ასწავლის ყველას: „თქვენც ხერხიანები იყავით, ყმაწვილებო, გაჭლიტეთ ყველა მარჯვნივ და მარცხნივაო!..

9) ძაღლი და ძროხა (96 გვ.). ერთი ძაღლი დაწოლილი იყო თივის ბულულზედ. მივიდა სიმშილისაგან დაბნედილი ძროხა და თივას ჭამა დაუწყო. ძაღლი კბილების ღრენით მივარდა ძროხასა და იქით გააგდო. ძროხამ უთხრა: „შე, უმსგავსო მძოვრო (!), რადა გაქვს იმდენად შურიანი თვალი, რომ შენთვის გამოუყენებელი თივაც კი არ გემეტება მშიერის ძროხისათვის?“

როგორ მოგწონს, მკითხველო, ასეთი ლანძღვა საყმაწვილო წიგნში: „შე უმსგავსო ძოვრო“.

10) ტრუ (96 გვ.). სავსებით წარმართული წერილია. გარდა იმისა, რომ უმანკო ბავშვებს ასეთს სულელურს მოტყუებას ასწავლის, თან იმასაც უქადაგებს, რომ თუ ვინმემ ორჯელ-სამჯერ მოგატყუოს, ნუღარ მიეშველები, დეე მგლებმა შეჭამონ იგიო!

11) მარგალიტი (113 გვ.). ესეც სრულიად წარმართული წერილია. „გლეხმა ძვირფასი მარგალიტი იპოვნა და მეფეს წაუღო. კარის-კაცმა უთხრა: „რასაც მეფე გიწყალობებს, თუ იმის ნახევარს მე მომცემ, შეგიშვებ მეფესთანაო, თუარა-და აქედგან დაიკარგეო. გლეხი ნებას დაჰყვა. მეფემ ჰკითხა: „რა საჩუქარი მოგიტანე ამ ძვირფასის ძღვენისათვისაო?“—„მე გთხოვთ ორმოცდაათი მათრახის დაკვრით დამასაჩუქროთო; მაგრამ, რადგან პირობა მივეცი შენის სასახლის კარის-კაცსა შუაზედ გაუყო საჩუქარი, ამიტომ ოცდახუთი მათრახი მე დამკრან და ოცდახუთი მაგას გადუპირონო“. მეფემ გაიცინა, კარის-კაცი მაშინვე გააგდო და გლეხს კი ასი თუმანი უწყალობა,—აბოლოვებს ბრძნულად ბ-ნი გოგებაშვილი. აქ რაც სიტყვაა, იმდენი წარმართობაა: კარის-კაცი ქრთამს თხოულობს, გლეხი ატყუებს—კარგიო და იმის მაგივრად კი მეფესთან ერთად მათრახითა და გაგდებით უხდის მას და ყველა ამას თვით მოსწავლეთაც იმას უნერგავს, რომ თქვენც ასე მოიქეციოთო, ე. ი. დასჭამეთ ერთმანერთიო...

გვეყოფა. რომელი ერთი წერილი ავიღოთ, რომ სულ ყველა ასეთის მიმართულებისა და შინაარსისა არ იყოს. დროა შევიგნოთ უშინსკის სიტყვები, რომ პირველი საკითხავი წიგნის შემდენელი უპირველეს ყოვლისა ყოვლად სრული უნდა იყოს, მოსილი უმაღლესი ზნითა და სანამ ასეთი ავტორი არ დაებადება ჩვენს ქვეყანას, ვერც ერი წაიწევს წინ თვისს ზნეობრივ წარმატებაში...

მარტო ამ მხრით არ არის დასაწუნი „დედა ენა“ ი. გოგებაშვილისა. ყოველი სწავლა უპირველეს ყოვლისა მე იმისთვის მინდა, რომ უკეთესი გავხდე, უკეთესი ცხოვრება შევისწავლო, ეს კი მარტო მაშინ შეიძლება, როცა მე საუკეთესო ცოდნა მექნება. ეს საუკეთესო ცოდნა კი დღევანდელს სკოლაში უმთავრესად პირველმა საკითხავმა წიგნმა უნდა მისცეს. „დედა ენა“ კი მთელი სამი და ოთხი წლის განმავლობაში, ყოველად უმნიშველო და თან, როგორც ვნახეთ, წარმართულ წერილებს და ზეპირებს აწვდის ბავშთა გონებას!...

საკვირველი არ არის, რომ ამ წიგნმა თვის თითქმის ნახევარ საუკუნის სიცოცხლეში და ოჯახსა და სკოლაში ხმარებით იოტითაც ფეხი ვერ წადგმევინა ჩვენს ხალხს თვისს ზნეობრივსა და გონებრივს ამაღლება-წარმატებაში.

დ.

გ. წე ეთლის ხსოვნას

(† 12 იანვ. 1900 წ.)

... მთელი სიცოცხლე სწავლობდა
ტანჯულის ხალხის ქსელებსა
და მის გულზედვე საგრძნობლად
ამუშაკებდა ხელებსა...
ეს ხსნას ეძებდა ხალხისთვის
მისვე ძალაში დიადში

და ბნელს ლეწავდა მარადის
ბნელ-უკუმეთში, წყვდიადში...
იგი პირველი შეეხო
ოდიშის მინდორსა, ველებს,
მთელი სამშობლო გააცნო
მისს ყოველს ბილიკს და ჭალებს...
ასე, ამ-რიგად იარა
გზა თვისი ეკალ-კლდოვანი,
არ მტყუნებია არც ერთხელ
კალამი სახელოვანი...
სანამ არსებობს სამშობლო,
მარადის ცოცხალ იქნები,
არ დაგვავიწყებს ქართველებს
„ფულავა“, „კიკოლიკები“...

იალთი

წერილი სოფლელ მუშას.

ბრძოლა არსებობისთვის.

ჩემო ერთგულო მეზობელო ბეჟან!

სულითა და გულით მინდოდა განმეგრძო წინანდელ შენს საოჯახო-სამეურნეო კითხვებზედ პასუხის მიცემა, მაგრამ... მაგრამ და ის, რომ ამ შენს უკანასკნელ წერილში მოთავსებული კითხვები გაცილებით უფრო სახვრ-ბოროტო და საფათურაკანი შეიქმნენ დღეს, ვინემ წინანდელი და ამიტომ მეც ზოგიერთ მათგანზედ ახლავე პასუხის მოცემა გაცილებითვე უფრო საჭიროდ მივიჩნიე. შენი კითხვა, სხვათა შორის, „არსებობისათვის ბრძოლას“ შეეხება და მეც აი ამ საჭირ-ბოროტო საკანზედ მინდა მოგელაპარაკო დღეს. დავიწყოთ.

ყოველ გვარ ადამიანთა მდგომარეობის გაუმჯობესებათა და კეთილ-მისწრაფებათა ადრე-განხორციელების სურვილით გამოწვეული „ბრძოლის“ სვე-ბედი, ჩემო ბეჟან, ორ უმთავრეს-უსაჭირაეს საკნების მოხვედრა-გაძლიერებაზედ არის დამყარებული: ერთი ამათთაგანია ადამიანის გონებრივ-ზნეობრივი განათლება-განვითარება და მეორეკი—ქონებრივი შეძლება, ანუ „ფულები“ და „ქონება“. ამიტომ, რომელ ერსაც ჯერ ამაების მოხვეჭისათვის არ შეუწუნია თავი და ისე დაუწევია რაიმე საერთო ბედნიერების მოხვედრაზედ ოცნებობა, ის მარად მოტყუებული დარჩენილა და მოტყუებული დარჩება კვლავც. ასეთი საქმით მოტყუებული და ოცნებობით დამდებული ერი საბოლოოდ მარად სხვა, მასზედ უფრო ქონებრივად შემძლე და გონებრივად განვითარებულის ერის მსხვერპლი შექმნილა, მარად ამ უკანასკნელის ურო-მჭირად „მონათ“ გამხდარა და კვლავც გახდება..

ამიტომ, ჩემო ბეჟან, სჯობს აქედანვე შეგვირგდეთ იმ აზრს, რომ ყოველგვარ ბედნიერებაკმაყოფილების მომწადინებელი და საზოგადოდ კეთილ სურვილების განმახორციელებელი თითისმა, დღეს, რაგორც სხვისთვინ, ისე ჩვენთვინაც, ერთად-ერთ ქონებრივ შეძლებაშია; ხოლო ამ უკანასკნელის მისაწვდომი ძალა თითოეული ჩვენგანის გონიერულ შრომა-გამრჯელობაში და ამ შრომა-გამრჯელობის კიდევ უფრო განმანაყოფიერებელი და შემდეგ მისი ერის (თუ თავის) სასარგებლოდ მომხმარებელ-გამომუშავებელი ძალა კი ამავე ერის (თუ თითოეული ჩვენგანის) გონებრივ-ზნეობრივის მხრით განათლება-განვითარებაშია.

ახლა დრო დავუბრუნდეთ ისევ „ბრძოლას“ და ავხსნათ იგი შენთვინ უდვილად გასაგები მაგალითებით, თუ რაში გამოიხატვის ჭეშმარიტი „ბრძოლა“ არსებობისათვინ. შენ კარგად იცი, ჩემო ბეჟან, რომ ეგ შენი მეზობელი დიმიტრი მ—ძე წინეთ გაცილებით შენზედ უღარიბესი იყო. ისიც დახსოვდა, თუ ერთ დროს რანაირად წამოიწია იმან ქონებრივის მხრით და შემდეგ ისევ რანაირად დაეშვა ძირს! ახლა მაშ საკმაოა კარგად ჩავუკვირდეთ ჩვენ დიმიტრის გამდიდრებისა და გაღარიბების მიზეზებს, რომ გზა და გზა, თავისთავათ დავინახოთ ისეთი რამეებიც, რომლებიც აუცილებლივ საჭირო ნამდვილი და ჭეშმარიტი „ბრძოლისათვის“. დავიწყოთ.

მართალია დიმიტრიმ (როგორც ეს ზემოთაც მოგახსენეთ) შენზედ უწინ განიცადა ულმობელი სიღარიბის ბრჭყალები და მისი შეღეგების სამწარე, მაგრამ სამაგიეროთ იმან შენზედ უწინაც გამოიდვიძა: უსწავლელი დ. მ—ძე ინსტიკტიურად მიხვდა, რომ სიღარიბის მკაცრი ბრჭყალებისგან გამოსახსნელთმოსათვინ აუცილებლივ საჭირო ქონებრივი ძალ-დონის მოკრეფა... ისიც მაშე მიხვდა, რომ ამ უკანასკნელის სადარო, თუ წყარო, მისსავე გონიერულ შრომა-გამრჯელობაშია. იმას ამასთან არც ის ჭეშმარიტება გამოეპარა შეუმჩნეველად, რომ გამდიდრებისათვის, გარდა შრომისა, ბევრი სხვაც არის საჭირო, მაგრამ მათ შორის ერთი ისეთიც, რომლის შესრულება მასაც იოლად (ადვილად) შეუძლია. ასეთი რამ გახლავს, ჩემო მეზობელო, ოჯახში (თუ თავის თავზედ) კასავლის ანუ სახარჯვის შემცირება—შემოსავალთან შედარებით, რასაკვირველია. მართლაც და სოფლად აქობამდის სიმდიდრეს გარეგანი შეხედულობით ზომავენ!... თქვენ, ჩემო ბეჟან, მხოლოდ და მხოლოდ შემოსავალს სთვლით ანგარიშში და გასავალს (ხარჯს) კი მანამდის არ აქცევთ ყურადღებას, სანამ ისევ მკაცრი სიღარიბის სამეფოში არ ამოგყოფთ თავს!... ავხსნათ ესეც: გსთქვათ შენ შემოგდის ოჯახში თვეურად სამოცი მანეთი, და ხარჯავ ყოველ თვეობითვე სამოცდა-ათ მანეთს. ხოლო, ჩემი მუშაობით, მე ვმოუდრბ ოცდა ათ მანეთს და ვხარჯავ თავის საჭიროებაზედ ოცდა-ხუთ მანეთამდის. ახლა ერთი მიბრძანე: რომელია ჩვენ ორში ქონებრივათ უფრო შესძლებული და მდიდარია? მე თუ შენ?—რასაკვირველია, რომ მე! იმის დამიუხედავათ, რომ შენ, დღეს, ორ-ჯერ ჩემზედ მეტს შოულობ ყოველთვეობით, შენი ქონებრივი შეძლება, ჩემ-

თან შედარ.., ..ინც უსუსურია და ახი, რატომ: თუმცა შენ სამ ც-ამოც მანეთს შოულობ ყოველ თვეობით, მაგრამ სამაგიეროთ სამოც და ათ მანეთამდის სწყამ!. ამქვეყან ცხადია, რომ შენი ყოველთვიური კასავლი შემოსავალს ათი მანეთით აღემატება! უკეთ რომ ვსთქვათ, თვეში შენ ათი მანეთისას მეტს სწყამ, ვინემ შოულობ!!! და ამიტომაც ყოველ თვეობით თითო თუმანი გედება კისერზე ვალად; ხოლო წლის ბოლოს კი თორმეტ თუმანამდის (120 მ.)!.. ახლა მე? მე ხომ შენს ნახევარს ძლივსღა გშოულობ (ე. ი. ოც და ათ მანეთამდის ძლივს შემომდის ოჯახში), მაგრამ სამაგიეროდ ვსწყამ ანუ ვხარჯავ თავის საჭიროებისაზედ არა უმეტეს ოც და ხუთი მანეთისა. გამოდის, რომ ჩემი ყოველთვიური შემოსავალი აღემატება თვეურსაც კასავალს ხუთი მანეთით; რის გამოც წლის დამლევს მიგროვდება სამოც მანეთამდის (60 მ.) თავისუფალი თანხა (სერმია). ამ ნაირად, შენ ყოველ წლობით ასოცი მანეთი გედება კისერზე ვალად და მე კი ყოველ წლობით სამოც მანეთამდის (60 მ.) მემატება!.. ახლა კმაც მიბრძანე: რამდენი უნდა იშოვნო და იშრომო შენ, რომ მე წლის ბოლოს გამისწორდე ქონებრივი შეძლებით?—უსათუოდ იმდენი, ჭემო მეზობელო, რამდენიც იქმნება ერთად შეკრთებული შენი წლიური ზედ მეტი ხარჯი (ე. ი. 120 მ.), ამ უკანასკნელის წლიური სარგებელი, რაც სოფლად 25 მანეთს უსწორდება, ის ჩემი სამოცი მანეთი, რომელიც მრჩება ყოველ წლობით შემოსავლიდგან და კიდევ ამ უკანასკნელის ნამოვანი, რაც 15 მანეთს აღემატება. ეგენი კი ერთად შეადგენს (120 მ. +25 მ.)+(60 მ.+15 მ.)=220 მ. ორასოც მანეთს!.. ამ უბრალო მაგალითიდგანაც კი საკმაოთ შეგიძლია მიხვდე შენ, ჭემო მეგობარო, თუ რამოდენა მხიშვნელობა აქვს თითოეული ჩვენგანის გამდიდრება-გაღარიბების საქმეში ხარჯის (შემოსავალთან შედარებით) შემცირება-გამდიდრებას, და ეხ რანაირად უნდა ვზომავდეთ და ვარჩევდეთ ქონებრივად უფრო მძლავრს უფრო უსუსურისაგან.

ეხ კი დროა დავუბრუნდეთ ისევ დ. მ—ძეს. დიმიტრიმ, როგორც დარწმუნებულმა შრომა-გამრჯელობის ძალიერებაში, მოჰკიდა ამ უკანასკნელს ხელი და სულ მოკლე დროში თვისი წანაგლეჯი შრომა-გამრჯელობა, ერთობ გაამრჯეცა. თქმა არ უნდა, რომ ამით მის ოჯახში შემოსავალმაც ორჯერ იმატა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შემოსავლის გაორკეცებასთან დიმიტრიმ სრულიადაც არ უმატა წინანდელ ჩვეულებრივ სმა-ჭამას და ამიტომაც იმას ორ-სამ წელიწადს ოც თუმნიმდის (200 მ.) თავისუფალი სერმია მოუგროვდა!.. ამ ფულებით მან გამოსდგა გეგლესიის მახლობლად ქოხისებური დუქანი და დაიწყო შიგ ვაჭრობა წვრილმანი. ამქვეყან ის მაღე სამანდალთა ვაჭრობაზედაც გადავიდა. და რაკი ამ უკანასკნელით უფრო წელი მოიშაგრა, შეძლებ თავის სოფელში ვაჭრობითაც არ დაკმაყოფილდა: ბირველ ადგილას დადგმული დუქანი არა მას სჯეროდა და თვითონ კი რვეინის გზის ხაღგურთან წამოასკუპა სამ ოთხ-თვალიანი სახლი, რომელშიაც იწყო ფართლეულობით და რკინეულობით ვაჭრობა. ცოტა ხნის შემდეგ ამ სავაჭროს, დიმიტრიმ, ბურის-სატხობი ფურნეც მოადგა და ახი, ამქვეყან იწყება მის მეგატონეს (ნავატონარ) და მის შორის ნამდვილი არსებობისათვის „ბრძოლა“. ბრძოლას სწორეთ ისეთი, როგორც უნდა იბრძოდეს, დღეს, ყოველი გონიერი ადამიანი და თვით ერიც. ამ დაეტყვა ერთმანეთს ერთი მხრით დიდ-მამულიანი მეგატონის დაუდევრობა და სიზარმაცე (ფულების ფლანგვა, უთავბოლოთ სმა-ჭმა, ქეიფი..), ხოლო მეორე მხრით კი მისივე ნაშენების სიფხიზლე და გონიერული შრომა-მოქმედება. უკეთ რომ ვსთქვათ, ერთი მხრით—დაუდევრობაზედ აღმოცენებული უძლურება; მეორე მხრით შრომა-გამრჯელობაზედ აღმოცენებული ძალიერება... როგორც ყოველთვის, ამ ქვეც შრომა გამრჯელობაზედ აღმოცენებულმა ძალამ გაიმარჯვა დაუდევრობა-სიზარმაცეზედ აღმოცენებულ უძლურებასთან და ამიტომაც ნაშემკვმა, დიმიტრიმ, თავისი ნავატონარი ადვილად დაამარცხა!.. რანაირათ? იქნებ იკითხო შენ.—ახი, ამნაირად: იმისდა მიუხედავათ, რომ ამ შამა-ეაბეულისაგან გაღმოსაცემი შემოსავალი ყოველ წლობით სულ უფრო კლებულობდა, დიმიტრის ნავატონარმა (რთული მოთხოვნილების თანაბრათ) სახარჯავს სულ უმატა და უმატა! ყოველთვინ რჩეული საჭმელ სასმელი, ყოველთვინ რჩეული ტანთ-საცმელი, ყოველთვინ ლხინი და ქეიფი, უსაქმოთ აღმა-დაღმა ხეტიალი და დროს ტარება!!!. ეგენი ამაებისათვის ბევრი ფულები შეიქმნა საჭირო და ახლა, ბაბ, სად ჭქონდა ამოდენა ფულები ჯიბე დაცარიელებულ ნავატონარს? ერთი სიტყვით, ბევრი ხარჯი და ცოტა შემოსავალი, ახი, რა იყო იმის მიზეზი, რომ ხსენებულმა მეგატონემ თავისი წინანდელი ნაშენის დუქნისაგან იბრუნა ბინა და ახლა იქიდგან იწყო ოჯახში საჭირო სანოვაგის და ნივთების ნასიათ ზიდვა. გვიდა ერთი წელიწადი და ნავატონარის ნახარჯი, ნაშემკვის დუქანში ათას ორას (1200) მანეთამდის ავიდა!.. რა ჭქსან ახლა მეგატონეს? სად იშოვოს ფულები? რით გადუხადოს თავის ნაშემკვს ეს ვალი?! ამის თქმაში და წუხილში განვლო მეორე წელმაც და ამ მის ათას-ორას მანეთ ვალს, დიმიტრის დუქანში, მეორე ათას-ორასი (1200 მ.) მანეთიც ზედ მიემატა!.. ნაშემკვმა (დიმიტრიმ) ბატონს ანგარიშის გასწორება მოსთხოვა. შეწრიალდა მეგატონე.. რა ქნას ალარ იცის... იქით ეცა, აქეთ ეცა და ბოლოს ისევ თავის მამულს მიუბრუნდა.—„ჰე, ჭემო დიმიტრი,—ეუბნება ის თავის ნაშემკვს,—ამოირჩიე სადაც გენებოს (ჭემი მამულიდგან) ორი ათას ოთხასი მანეთის სადირალი 80 ქცევა სახნავ-სათესი და მიიზომე თავისთვის. ამნაირად, დიმიტრიმ ორი წლის ნახარჯში მიიზომა თავისთვის მეგატონის მამულიდგან 80